26

ტფილისი

სახალხო გაზეთი

№ 805 ხუთშაბათი, 24 იანვარი 1913 № 805

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

განცხადების ფასი. ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონ. № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

გამოვიდა გასასყიდად ახალი
პაპიროსები „მაიაკ" კომეტას ამ-სა.
25 ც.—15 კ.—10 ც. 6 კ.
ქ. ტფილისი. 1574.

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება
სურათებიანი დამატება
(კვირაობით)
პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ ორი წიგნი
1) უცხოეთის მწერლები (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა და სხვათა.
2) ქართველი ერის ისტორია, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.
გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. 40 კაპ.
დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.
ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.
წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ნაწილობით 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.
ხელის მოწერა მიიღება:
1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,
3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

მარიამ და ივანე ხირსელაშვილები და შვილები ალექსანდრე, ნიკოლოზ, კონსტანტინე და ნინო გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველთა საყვარელი ასული, ხოლო მეორეთა დაუვიწყარი და

თამარი.

დაკრძალვა ხუთშაბათს, 24 იანვარს, გამოსვენება საკუთარი სახლიდან. მე-2 კვირაცხოვლის ყრუ შესახვევი № 6, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 63.

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა და რეჟისორი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და მეგობართ, რომ უდროოდ გარდაიცვალა ამავე წრის საპატიო წევრი და ავლაბრის ქართ. სახ. წარმოდგენების დამხმარე მიწის მზომელი

პეტრე ზაქარიას ძე ნასიძე.

ცხედარს გამოასვენებენ ხუთშაბათს, 24 იანვარს, დილის 10 საათზე (შემახის ქუჩა, № 5, საკუთარი სახლი), ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში და წირვა-პანაშვიდის გადახდის შემდეგ დაკრძალულ იქნება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1032

თამარ იასონის ასული ქუმსიშვილისა შვილებითურთ და გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—საყვარელ შვილის, მეორენი—დაუვიწყარ ძმის და მესამე—ძვირფას ცოლის ძმის, ფოთის პოლკის პორუჩიკის

ილია ილიას ძის ქუმსიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, (ნიკოლოზის და ტურგენევის ქუჩის ქიმი, სახლი № 37/2).
დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 66

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა, ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინ
შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: ხოლოდილნა. ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). ტელეფ. 7—93 847

სალომე გაბრიელის ასული, მონაზონი ეკატერინე და თომა ზაქარიას ძე ნასიძეები; მაგდანა მიხეილის ასული, ელენე ივანეს ასული და გიორგი დავითის ძე მათეშვილები გულისადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ უდროვოდ გარდაცვალებას პირველის—საყვარლის მეუღლის, მეორისა და მესამე—ძმის, მეოთხის—მულის შვილის, მეხუთის — მაზლის და უკანასკნელის—ბიძაშვილის მიწის მზომელ

პეტრე ზაქარიას ძის ნასიძისას.

ცხედარს გამოასვენებენ ხუთშაბათს, 24 იანვარს, დილის 10 საათზე (შემახის ქუჩა, № 5, საკუთარი სახლი) ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში და წირვა-პანაშვიდის გარდახდის შემდეგ დაკრძალულ იქნება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 64.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი წარმოდ. № 45.
ბენეფისი ვას. ალ. აბაშიძისა
ხუთშაბათს, 24 იანვარს, ქართ. დრ. საზ. დასის მიერ დამსახურებულ მსახიობის ვას. ალ. აბაშიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით ცნობილი პიესა დამსახურებულ მსახიობისა და ცნობილ დრამატურგის თ-დ ალ. ივ. სუმბათაშვილის
შევარდენები და ყორნები. დრამა 5 მოქმედ. თარგ. გ. თუთბერიძისა.
ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, დავითაშვილი, ლოლუა, პიერეტა, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი. აბდუშელი, ალექაძე, ზარდალიშვილი, ტარალაშვილი, მატარაძე, ყარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.
დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილებ. ფასი საბენეფისოა.
1018 რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრ. საზ. ადმინისტრ.

ახალი კლუბი
შაბათს, 26 იანვარს,
მასკარადი
საუკეთესო მასკებისთვის ორი საჩუქარი ჟიურის გადაწყვეტილებით.
ცეკვა.
ქალების მასკებისთვის ბილეთები შვეიცართან ქ. უ. წევრების რეკომენდაციით. დასაწყისი საღამოს 10 საათზე. 1017,

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი
შაბათ, 26 იანვ., სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ მსახ., კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:
მსხვერპლი დრამა 3 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან ი. გედევანიშვილისა.
მონაწილეობენ: ქ-ნნი ანტუანეტა, ს. ანკარა, ს. ბადრიძე, მ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ბ. კორინთელი, კახელი, ს. რომანიშვილი-ტუგებუაძისა, მ. რომანიშვილისა. ბ-ნნი გ. ანაშვილი, ს. არშაკუნი, ანტოშკა, არეშიძე, ნ. გოცირიძე, გელიკურაშვილი, ვ. განჯელი, ილ. ზურაბიშვილი, ივერიელი, ს. თავდიშვილი, ს. კავაძე, ვ. ნინიძე. ს. რომანიშვილი, რევაზ, ბ. სვანელი, ო. სალაყაია, სავიცკი, სტურუა, ლ. სამადაშვილი, გ. ფრონის-პირელი, ქვიშხეთელი, კ. ყიფიანი, ყარსიმაშვილი, დ. ჩიქოვანი, მ. ჭიაურელი, ჭუმბურელი, ნ. ჭანკვეტაძე. კ. ხახანაშვილი, გ. ჯაბაური და თანამშრომელთა მთელი ჯგუფი.
შემდეგ წარ. 3 თებერ., მზადდება „ლალატი". ბილეთ. ფასი 5—5) კ. დასაწყ საღ 8 ს.
1034 რეჟისორი ალ. წუწუნავა. წრის ადმინ.

ტფილისის კერძო საავადმყოფო
ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან მინის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ჩიტაძის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
მანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1
მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირალოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½.
ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12.
თაკაიშვილი ი. გ. (ყოველ დღე) 1—2.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ხუციშვილი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ფონდოევი, გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½
ტრემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 1½—2.
მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½.
საავადმყოფოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გაიზჯვა, ათამანზ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" 914 და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1085

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.
ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული"-ზე.
წელიწადი მეცხრე.
გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ორი გამოცემა:
მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი
მოზრდილთათვის . . 12 წიგნი
ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.
წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან ✦ „ბიძია თომას ქოხი", ✦ სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა ილია ნაკაშიძემ. ჟურნალი „ნაკადულ" მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში—„ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.
ზიაში რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი თ-დ პავლე თუმანიშვილი.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება ჩვენი პოეტების პოემები და ლექსები:

აბაშიძე გრ.	ფ. 60 კ.	თამარიანი, გუგუნავასი	50 „
ბარათაშვილი ნ.	„ 40 „	ორბელიანი ვახტ.	60 „
ბესიკი. სილყვ.-კაზმ. საზ. გამ.	1 მ.—	ორბელიანი გრ. რჩეული ლექს.	20 „
გურამიშვილი დ. „დავითიანი"	1 მ.—	სილოვანის ლექსები 1878—1894.	50 „
გურიელი მამია	1 მ.—	ცისკარი. რუხაძის ლექსები	25 „
განდეგილის ლექსებ.	— 50 „	შანშიაშვილი. შვების თავადი	60 „
დუტუ მეგრელი წ. I ლექსებ.	70 „	ჭავჭავაძე ალ. ლექსები	30 „
ერისთავი რაფ. წ. I	1 მ.—	ჭავჭავაძე ილ.	27 „
ევდოშვილი, ლექსები და პოემები	60 „	წერეთელი აკაკი ტ. I	1 მ.—
ვაჟა-ფშაველა	1 მ.—	— — ტ. II	1 მ.—
ვეფხის ტყაოსანი ქართველიშვილის გამოც. 10 მ.	65 „	— — ჩემი ნაწერ. ტ. I	75 „
„ „ ქ. შ. წ. კ. ს. გამ.	60 „	— — იგავ-არაკნი	50 „

ადრესი: Тифлисъ О-ва распр. грамотности срел. гр. н-с. 1141

ქარხნის მარკა
კონიაკი და ლიქორი
ს. ს. შამრიარსკისა
ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

საგურამოზე
მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თამამშევილს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 26. წ. 1022

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ ქ. № 94. კიროჩნი ქუჩის ახლო, ფოსტის დანყოფ. [illegible] 142

ექიმი ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3. ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
არგუტინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. ½ ს.
ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.
ბოჟოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.
ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,
კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—12½.
რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ 11—12 საათ.
ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.
შამაში, ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.
გ. ნ. გენაცი—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. ს დ. 4—5 ს.
ა. ა ხოდნევი—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., საღ. 4—5 ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტანტი ქირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. სიიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. 366.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მიხაკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 6.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **წმ. „თამარ მეფის" სახელის გმობის გამო.** თანხმად სასინოდო კანტორის თხოვნისა, გუბერნატორმა პოლიცმეისტერს მისწერა: კანონით აღკრძალულია გაკეთება და გაყიდვა იმ საგნებისა, რომელზედაც ჰხატია წმიდანები მართლმადიდებლებისა. ამის მიუხედავად აფთიაქებში, სააფთიაქო მაღაზიებში და ბაზარში თავისუფლად ჰყიდიან გ. ა. ბრიგერის საპონს, რომელზედაც წმ. თამარ მეფე ჰხატია; ამას გარდა ხშირად გაზეთებში გვხვდება განცხადებანი წმ. თამარ მეფის სურათით, მაგალითად „იმერეთის შამპანიური ღვინო „თამარისა"; აგრეთვე სწერია გაზეთებში, თ. მთავრიშვილის მაღაზია გადავიდა იმ სახლში, სადაც წინად ელექტრო-თეატრი „თამარ" იყოო. ამის გამო გუბერნატორმა წინადადება მისცა პოლიცმეისტერს, შესაფერი ღონის-ძიებანი მიიღოს. გუშინ პოლიცმეისტერმა უბნის ბოქაულებს საგანგებო ბრძანება დაუგზავნა: არავის მისცენ ნება, გაჰყიდონ საგნები წმ. თამარ მეფის სურათით; აგრეთვე გამოუცხადონ გაზეთებისა და პერიოდულ გამოცემათა რედაქტორებს, რომ აღარ დაბეჭდონ განცხადებები წმ. თამარ მეფის სურათებით.

◆ **ყაჩაღების შეპყრობა.** 22 იანვარს თელავის საპოლიციო დარაჯები დაედევნენ მოკლულ სვიმონიშვილის ამხანაგებს არჩილ ბედუაშვილსა და გიგლო შიუკაშვილს ღამის 3 საათზე წამოეწივნენ წინანდალში, ალყა შემოარტყეს და სროლა აუტეხეს. ყაჩაღებმა იარაღი და პატრონტაშები დაჰყარეს და დაჰნებდნენ.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ერევნის გუბერნატორი გრ. ვ. თ. **ტიზენგაუზენი** და განჯისა **გ. ს. კოვალევი.**

◆ ამიერ-კავკასიის გზათა უფროსი, ინჟენერი **ს. ფ. გოფმანი** პეტერბურგს გაემგზავრა.

◆ ამ უკანასკნელ დღეებში ტფილისში ძალიან აცივდა. ყინვა 10 გრადუსს დასცილდა რეომიურით, მთაწმინდასა და ბოტანიკურ ბაღისკენ ყინვა 13 გრადუსს აღწევს.

◆ სიცივეების გამო მწვანილეულობა მეტად გაძვირდა. თვის ბოლოკი ერთი კონა 10—12 კ. გახდა. ხუჭუჭა კომბოსტოს ორი საშუალო თავი 15 კ.

◆ **თევზეული ფასობს** თართი, ზუთხი, ფარეჯი, გირვანქა 40 კ., კომბრი—18—20 კ. ლოქო 15 კ.

◆ კავკაზს პეტერბურგიდან აცნობებენ, რომ ტფილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარედ ნამყოფ **კოჩუბეის საჩივარი სენატმა უყურადღებოდ დასტოვა.** კოჩუბეი უჩიოდა კავკასიის სამოსამართლო დაწესებულებათა მორევიზის.

◆ **ყაჩაღის შეპყრობა.** სოფელ კურდღელაურში (თელავის მეზობლად) 20 იანვარს, ღამის 11 საათზე შეიპყრეს ყაჩაღი **მიხეილ ჩიკვაიძე,** რომელიც ტფილისის ციხიდან ყოფილა გაქცეული. იგი მარჯვენა ხელში დაჭრილია. მას აღმოაჩნდა რევოლვერი და ბინოკლი.

◆ საქართველოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ დაადგინა, 21 თებერვალს იდღესასწაულოს **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილე.** ამ დღეს დაითხოვენ ყველა მოსწავლეთ გადახდილ იქნება პანაშვიდი და პარაკლისი, ხოლო მესამე დღეს მოსწავლეთათვის სალიტერატურო დილა გაიმართება სამისიონერო ძმობის შენობაში.

◆ **ქალაქის გამგეობის არქივის** გამგედ გამგეობამ დანიშნა ალ. სვლანძე, მის თანაშემწედ—ბ-ნი საააკიანცია. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის დაწესებულებათა წინაშე, რათა ხსენებული პირნი თავიანთ არქივებში შეუშვან საარქივო საქმის გასაცნობად.

◆ **კახეთის რკინის გზის** გამგეობამ გუშინ ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა პროექტი კახეთის რკინის გზის საქონლის სადგურისა, რომელიც ნავთლუღში უნდა ააგონ. პროექტი სამგზავრო სადგურისა გამგეობამ წინად მიიღო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ორივე პროექტი განსახილველად წარუდგინოს ქალაქის საბჭოს 25 იანვრის კრებას.

◆ ქალაქის სამხედრო საკრებულოში საქმის მწარმოებლის თანაშემწედ ქალაქის გამგეობამ გ. ა. პეტროსოვი დანიშნა. ჯამაგირად ექნება წელიწადში 700 მან.

საკრებულო დღეს შეამოწმებს იმ ახალგაზრდათ, რომელნიც სამხედრო ბეგარის მოსახდელად შარშან იყვნენ გაწვეულნი და მხოლოდ ახლა გამოცხადდნენ.

◆ ქალაქის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის შტატი, 1 თებერვლიდან გადიდებულ იქნება. არსდება 9 ახალი თანამდებობა: 5 სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურისა და ოთხი გადასახადების ამკრებ გზირებისა. ადგილების მთხოვნელთა რიცხვი 70 კაცამდეა. გამგეობა თხოვნებს ხვალ განიხილავს.

◆ პეტერბურგის დეპეშ. საგანგებო იუწყება: საეკლესიო წინასწარმა კრებამ განიხილა პატრიარქის არჩევის წესი. საეკლესიო კრება აირჩევს სამ კანდიდატს და დასამტკიცებლად ხელმწიფეს წარუდგენს. სინოდის შემადგენლობაში შევა 12 არქიელი სინოდის თავმჯდომარის და წევრების გარდა სინოდის წევრის სახელი ერქმევა პეტერბურგის და კიევის მიტროპოლიტებს, საქართველოს ეკსარხოსს და საეპარქიო არქიერებს, რომელთაც ამ სახელს მიანიჭებს ხელმწიფე იმპერატორი.

◆ **უბედურებანი ტრამვაიზე.** ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიუროს გამონაგარიშებით 1912 წელს ტრამვაიზე შემდეგი უბედურებანი მომხდარა: ტრამვაის ლიანდაგზე გადასვლის დროს სასიკვდილოდ დაშავებულა სამი კაცი, ხოლო მძიმედ დაშავებულა 2; ეტლებსა და ურმებზე დატაკების დროს 5 მსუბუქად დაშავებულა, ხოლო 3 მძიმედ. გაქანებულ ვაგონზე შეხტომის დროს მძიმედ დაშავებულა 4 ხოლო მსუბუქად 1. გაქანებულ ვაგონებიდან გამოხტომის დროს მძიმედ დაშავებულა 4, მსუბუქად 1. ტრამვაის ვაგონების მოუწყობლობის მიზეზით ერთი მძიმედ დაშავებულა. ტრამვაის ვაგონების დაჯახების დროს მძიმედ დაშავებულა 1 ხოლო მსუბუქად 3.

◆ 21 იანვარს ორი მიგდებული ბავშვი იპოვნეს, ორივე ვაჟი, ერთი 6 დღისა მეორე 3 დღისა, [illegible] ქუჩაზე მეორე ვაგზლის ქუჩაზე. ორივე ოლგას საბებიო ინსტიტუტში მიიყვანეს.

◆ 22 იანვარს პოლიციამ შეიპყრო უბინადრო ისაკ ბალდასაროს-ძე პეტროსიანცი, სამტრედიის პოლიციის მხედველობის ქვეშ ყოფილა და გამოპარულა. პეტროსიანცს ისევ სამტრედიაში გაჰგზავნიან.

◆ 22 იანვარს პოლიციამ სხვა და სხვა უბანში 98 უპასპორტო შეიპყრო.

◆ ტფ. გუბერნატორმა 25 მან. დააჯარიმა იაკობ შუსტინი ქუჩაზე მოძრაობის წესების დარღვევისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, 10 დღით დაპატიმრებენ.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **კავკასიის სამკურნალო საზოგადოების** წევრთა მორიგი კრება 22 იანვარს მოხდა მ. ვ. ლუნკევიჩის თავმჯდომარეობით. კრების დაწყებამდე ექიმმა მზარეულოვმა დამსწრედ აჩვენა ყმაწვილი, რომელიც ავად ყოფილა ათაშანგის ნიადაგზე და სახეული დაიარებული ჰქონია. ყმაწვილისთვის სამჯერ შეუშხაპუნებიათ 606 და სრულიად მორჩენილა. კრებამ ამის შემდეგ დაამტკიცა 8 იანვრის დღების ოქმი და მოისმინა საზოგადოების სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომლიდანაც სჩანს, რომ წარსულ წლის განმავლობაში კასაში შესულა 4,072 მან., რაც წინად დარჩენილ ფულიანად შეადგენს 11,036 მანეთს. ხარჯების გასტუმრების შემდეგ, კასაში წლის ბოლოს დარჩენილა 7,874 მ. კრებამ 1,052 მან. გადასდო საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის. სარევიზიო კომისიამ აღნიშნა, რომ საზოგადოების წევრნი საწევრო ფულს თავის დროზე არ იხდიან, არიან ისეთნიც, რომელთაც 4—5 და 11 წლის საწევრო ფული არ გადაუხდიათ. საზოგადოების წესდების ძალით წევრობიდან დათხოვნილ უნდა იქმნას ყველა ის პირი, რომელსაც ორის წლის საწევრო ფული არა აქვს გადახდილი. კრებამ დაადგინა, მოვალეები ჯერ-ჯერობით არ გამორიცხოს წევრობიდან და წინადადება მისცეს, საწევრო ფული დროზე შემოიტანონ.

◆ **ცეცხლის მქრობელი თავისუფალი საზოგადოება,** რომელიც მოქმედება ჯერ არც კი დაუწყია, უკვე იშლება. უკანასკნელ დღეებში ცეცხლის მქრობელ რაზმიდან 40 დე კაცი გამოვიდა.

სასწავლებლებში

◆ **ახალი სასწავლებლები.** 28 იანვარს ქალაქის საბჭოს სკოლო კომისიის კრება მოხდება. კომისია მოისმენს მცირე კომისიის (ა. ა. გოთუა და ლ. გ. ევანგულოვი) მოხსენებას ოთხ-კლასიან პირველდაწყებით სასწავლის დაარსების შესახებ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზე. ამავე კრებაზე კომისია მოისმენს ს. გ. ალდოდანოვის მოხსენებას ტფილისში საშუალო სამრეწველო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

ქუთაისი

◆ ოზურგეთის მაზრის მესამე რაიონის სახალხო სკოლის მასწავლებელნი **პეტიციას უგზავნიან დეპუტატ ვ. გელოვანსა და ა. ჩხენკელს,** აუწყებენ სახალხო სკოლების ანორმალურ მდგომარეობა დირექციის უკანასკნელი განკარგულების გამო და სთხოვენ მათ დაცვან არსებული, 81 წლ. სასწავლო გეგმა და საზოგადოთ თავი გამოიდვან სახალხო სკოლების უფლებისათვის, იმ მხრით, რომ ჩვენს სკოლას უფლება მიეცეს სამშობლო ენის წავლის წარმოებისა მთელი კურსის განმავლობაში.

◆ ქუთ. ქალაქის გამგეობის წევრათ **აირჩიეს ს. ქვარიანი;** 20 თეთრი და 19 შავი კენჭი მიიღო; მ[illegible]ლე არავინ ყოლია.

◆ ამ ჟამად ჩვენებურ თავად-აზნაურთა წრეში მითქმა-მოთქმაა იმის გამო, რომ რომანოვების გვარეულობის დღესასწაულზე დასასწრებად დეპუტაციის არჩევისთვის გუბერნიის წინამძღოლმა თავად-აზნაურთა კრება არ მოახდინა და უ[illegible]სოდ აირჩიეს დღესასწაულზე გასაგზავნი წარმომადგენელნი. ოთხი პირი დაუსახელებიათ დეპუტაციაში: გუბერნიის წინამძღოლი თ. ფარს. მიქელაძე, თ-დი ი. გელოვანი. კ. ერისთავი და დ. კ. ნიჟარაძე. ახლა ცნობა მოსულა, რომ თავად-აზნაურთაგან მხოლოდ სამი წარმომადგენელი უნდა გაიგზავნოსო.

◆ გუბერნიის გამგეობამ ანდრია ღულაძე არ დაუმტკიცებია ოზურგეთის ქალაქის მოურავად.

◆ ქუთაისში ხმა დადის, რომ ფოთის ქალაქის არჩევნებსაც დაარღვევენ იმავე მიზეზითო, რა მიზეზითაც ანდრია ღულაძე არ დაამტკიცესო: აპეკუნის ცენზით ქალაქის თვითმართველობაში სამსახური.

◆ ზემო იმერეთში ერთ გლეხს უნახავს ქანდაკება. რომელზეც მწოლარე, მდიდრულად მორთული ქალია საუცხოოდ ამოჭრილი. ქალი პატიმარი უნდა იყოს—მიჯაჭვულია. ქვა განით მტკაველი და სიგძით მტკაველ ნახევარი იქნება. ზედ წარწერაცაა ბერძნული ამოკითხვა გაუჭირდათ ძველი ბერძნული ენააო.

◆ გამომცემელი ამხ. „ალიონი"-ს გამგე ვ. გადილია იტყობინება, რომ სამ წიგნზე, ვისაც ხელმოწერილი ჰქონდა და ფული შემოტანილი, იმათ წიგნები დაურიგდებათ მომავალი მაისის ბოლო. ეს წიგნები მეტეხის სტამბაში დაბეჭდილი უწყვია და უცდის გამომცემლის განთავისუფლებას, ან. ერისთავ-ხოშტარიასი ნაწერების ნაცვლად მისგან პირობის დარღვევის გამო, გამომცემელს დაუბეჭდია 360 გვერდიანი წიგნი „ალიონის კრებული", რომელშიც მოთავსებულია 25-თი სხვა და სხვა მოთხრობა, ამბები და ესკიზები ქართველ ბელეტრისტებისა, ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილი გამომცემლის მიერ, (ციხეში ყოფნის დროს. რაც შეეხება კ. კაუცკის თხზულებას, ის არის 428 გვ. და ი. გომართლის—96 გვ. სულ სამივე 884 გვ.

◆ 21 იანვარს წავიდა სოფლის სამკითხველოების დასათვალიერებლად წ. კ. გ. ქუთაისის განყოფილების ბიბლიოთეკების მეთვალყურე. იგი ჯერ სუფის სამკითხველოს დაათვალიერებს, იქიდან ამოივლის მუხიანაში, შემდეგ წავა სვირს, სიმონეთს, კურსებს, მაღლაკსა და გოჩაჯიხაიში.

◆ ს. მაკვანეთში **პოლიციამ შეიპყრო** სალუქვაძე და ცეცხლაძე. ისინი გადასახლებული ყოფილან და თავის ნებით დაბრუნებულან.

◆ ს. ქალადიდში **ყაჩაღთა ბრბო** სოფელს მოედვა და სძარცვავსო. ყაჩაღების გამრავლების გამო მთავრობის მამასახლისი და რამდენიმე დარაჯი დაუნიშნავთ. ამათი ფული ისეც გაძვალტყავებულს სოფელს ხდებაო.

◆ პეტერბურგში ხმა დადის—**გენერალ დუმბაძეს** პეტერბურგის გრადონაჩალნიკად ნიშნავენო.

◆ 13 იანვარს ს. ბახვში დაიწვა ივლიანე ქელიძის მოსამსახურე გოგო 12 წლისა. ქელიძის ოჯახობა შინ არ ყოფილა და ბავშს ჩასძინებია ცეცხლთან; ცეცხლი მძინარეს კაბაზე წაჰკიდებია და გაძლიერებამდე ვერ გაუგია. როცა გაძლიერებულა, უყვირია, გარედ გამოვარ[illegible] გაქცეულა. მეზობლებსაც [illegible]უგიათ და მიჰშველებიან. მაგრამ ბავში თითქმის დამწვარი ყოფილა. უცოცხლია ორ დღეს. („იმერეთი")

◆ **ხმებია** — გარდა ოდიშარიას დასჯისა და ნაცვლიშვილის დათხოვნა—ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექცია სხვა ქალაქის სკოლების მასწავლებლებსაც უპირებს დათხოვას გაკვეთილების ახალი ნუსხის მიუღებლობისათვისაო.

◆ მორიგი სხდომა ქუთაისის ქალაქის საბჭოსი მოხდება 29 იანვარს.

◆ ქუთაისის ქალაქის მამულების ხელახალი შეფასება დაიწყება მარტის პირველ რიცხვებში.

◆ ქუთაისის მაზრის უფროსი ამ დღეებში ხონში გაემგზავრება.

◆ ქუთაისის მესამე საპოლიციო უბნის ბოქაულის თანაშემწე ი. მაქავარიანი ინიშნება სამტრედის მაზრის ბოქაულად.

◆ პარასკევს 25 იანვარს ქუთაისში, ქალთა წრეში ქ-ნი ჩიტო შარაშიძის ასული რეფერატს წაიკითხავს.

◆ ვიქტ. ქავთარაძეს გადმოუთარგმნია ლ. ანდრეევის ახალი პიესა „პროფესორი სტორიცინი" დრ. 4 მოქ. („მერცხ")

გორი.

◆ 14 იანვარს ღამე **მოჰკლეს** ადგილობრივ სამასწავლო სემინარიის თათრების განყოფილების მასწავლებელი ტერ-არუთინოვი. პოლიცია ფეხზე დადგა. მიიყვანეს საპოლიციო ძაღლები. ეჭვით შეიპყრეს შვიდი მოწაფეები—ხუთი თათარი და ორი ქართველი. მოწაფე ახმედოვი (თათარი) გამოტყდა მკვლელობაში და სთქვა—სხვები უდანაშაულონი არიანო. ახმედოვი ციხეში გაგზავნეს, სხვები განთავისუფლეს.

◆ ამ უკანასკნელ ხანებში **ყინვამ** საგრძნობლად აიწია. შეშა ძალიან გაძვირდა.

◆ როგორც ვიცით, პირველ იანვრიდან ადგილობრივ წ. კ. საზოგადოებას უნდა გაეხსნა **წიგნთსაცავ-სამკითხველო,** მაგრამ დღემდე ამ საქმისა არა ისმისრა, თუმცა შენობა აგერ ორი თვეც არის დაქირავებული.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი** იწყებს თვის მოქმედებას დიდი ხნის უმოქმედობის შემდეგ. ამ დღეებში სდგავენ ირეთელის დრამას „დამარცხებულნი". იმედია წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრება და მით შეძლებას მისცემს ნორჩ დაწესებულებას დადგეს მტკიცე ნიადაგზე და სამოქმედოდ მარჯვედ გაშალოს ფრთანი.

◆ **გორის ქალთა დროებითი კომიტეტი,** აცხადებს, რომ 27 იანვარს, კვირას დილის 12 საათზე, გორის კლუბში, დანიშნულია ქალთა კრება, მოსალაპარაკებლად თუ როგორი მონაწილეობა მიიღონ ვლ. მესხიშვილის დღესასწაულში.

დიმიტრი ყიფიანი

(ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე)

კარი IX.

დაუბრუნდეთ ისევ დიმ. ყიფიანის საზოგადო მოღვაწეობას. უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა სახელმწიფო სამსახურისათვის თავის მინებება სამძიმო და საწყენიც იყო დიმიტრისათვის, ქვეყნისათვის კი ეს გარემოება ფრიად სასარგებლო გამოდგა. იმ ძალ-ღონეს, რომელიც სამსახურში ეხარჯებოდა, ახლა საზოგადოებრივ მოღვაწეობას ანდომებდა. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ აამოძრავა დიმიტრიმ თავისი ენერგია ბატონყმობის გაუქმების საქმეში, რა ინიციატივა, შრომა და მეცადინეობა გასწია ამ საქმის გაძღოლის დროს. მართალია, მისი აზროვნება წოდებრივი ელფერისაა, იგი უტყუარი და ერთგული მცველია თავად-აზნაურულ ინტერესებისა. მის მხნეობას, ჭკუას და გამჭრიახობას უნდა ემადლიერებოდეს მაშინდელი თავად-აზნაურობა, რომელსაც, გასაჭირ დღეს, ხელმძღვანელად გაუხდა და შესამჩნევად გაუადვილა პროცესი სოციალური ცხოვრების გარდაქმნისა. ვიმეორებ, დიმიტრი გამსჭვალულია წოდებრივის ინტერესებით, ხოლო მიუხედავად ამისა, მის მოღვაწეობას, თან და თან, საზოგადოებრივი და ფართო საყოველთაო ხასიათი ეძლევა. ეს პროცესი, დროთა მსვლელობაში აშკარად ირკვევა, ხოლო მისი დასაწყისი უცილებლად მოსჩანს ტფილისის სათ.-აზნაურო ბანკის დაარსების განზრახვის დროიდამ. ბანკი თითქოს შერჩენილ წოდებრივ პოზიციების გასამაგრებლად უნდოდათ. მაგრამ ბანკმა, საკრედიტო დაწესებულებამ, ფული დაატრიალა ნატურალურ მეურნეობის დონეზე მდგარ ქვეყანაში, ფულმა დააჩქარა საწარმოვო ძალთა განვითარება და ხაზოლოვად ეკონომიურ პროგრესის ფაქტორად გახდა ჩვენს საზოგადოებაში, მიუხედავად თავად-აზნაურული მიწის-მფლობელობის დაცემისა და ამ წოდების აჩქარებულ გაღარიბებისა. საგულისხმო ის არის, რომ იმ დროიდან, როდესაც ჩვენმა თავად-აზნაურობამ **კულტურულის საშუალებით** იწყო ზრუნვა თავისი წოდებრივი ინტერესების დასაცავად, მისი მოღვაწეობა ქვეყნის ინტერესებთან სასტიკ წინააღმდეგობაში აღარ იყო. პირ-იქით, ქვეყანა სარგებლობასაც ხედავდა ამგვარ მოღვაწეობაში. ბანკს წოდება უნდა გადაერჩინა განსაცდელისგან. ნამდვილად კი მან აჩქარა მისი დაღუპვა, ხოლო ამასთან ხელი შეუწყო ახალ ეკონომიურ ძალთა წარმოშობას. სწავლა-განათლება წოდებას უნდა რგებოდა, ნამდვილად კი სწავლა-განათლებამ შექმნა ჩვენში წოდებრივ ელფერს დაკარგული ეროვნული თვითშეგნება. ერთის სიტყვით, ჩვენი თავ.-აზნაურობის კულტურულ გზაზე დადგომა, დასაწყისი იყო წოდებრივობის დაშლისა და თანდათან გამორკვევა და გამოსახვა საერო და სახალხო ინტერესებისა. და ამ მიმართულების დამწყობი და ინიციატორი იყო დ. ყიფიანი.

ამ თვალით რომ შევხედოთ დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობას ცხოვრების მეორე პერიოდში, სამოც წლებიდან მოყოლებული სიკვდილამდე, უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის ზემო-აღნიშნული პროცესი ჩვენი საზოგადოების განვითარებისა. დიმიტრიმ კარგად დააფასა მნიშვნელობა ღრმა სოციალურის ცვლილებისა, რომელიც მოხდა მის თვალწინ და იქნებ მის პირად სურვილის წინააღმდეგ. და როდესაც შეიგნო და დარწმუნდა, რომ უკან დახევა შეუძლებელია, მისი ფიქრი, ზრუნვა და აზრი ცხოვრების ახალ პირობების მოწესრიგებისაკენ იყო მიმართული და მისი სურვილი და ზრახვა ამ ახალ ცხოვრებასთან შეგუება იყო. და შეუდგა რა ამ შეგუების საქმეს, იგი შეუმჩნევლად წოდებრივ ფარგალს სცილდებოდა და უახლოვდებოდა ფართო საერო სარბიელს, სადაც ის იყო ფეხს იდგამდა ნორჩი ჩვენი საზოგადოებრივობა და სადაც ის იყო თვალებს იფშვნეტდა ხანგრძლივ ძილისაგან გამოღვიძებული ჩვენი ეროვნული თვითშეგნება. ჩვენ კვალ და კვალ გავყვებით ამ საყურადღებო პროცესის მსვლელობას და ამასთან ერთად კვალ და კვალ განვიხილავთ დიმ. ყიფიანის საზოგადოებრივ მოღვაწეობის ეტაპებს, რათა გასაგები გახდეს ჩვენთვის ის დრამატიული სიტუაცია, რომელიც მოუმზადა მას, ერთის მხრით, ჩვენმა ახალმა ცხოვრებამ თავისი ფართო მოთხოვნილებებითურთ, მეორეს მხრივ, მისმა სურვილმა ამ ახალ ცხოვრებაში თავისი პოლიტიკურის მრწამსის პრაქტიკულად განხორციელება. ამ საგნის გაშუქებამდე მივალთ თავის დროზე. ეხლა კი მივაპყრათ ჩვენი ყურადღება ბანკის დაარსების საქმეს ჩვენში. ამ საქმესთან ბევრი სხვა რამეა დაკავშირებული და თუ ისტორია ბანკის დაარსებისა [illegible] განდება ჩვენთვის, ეს სინათლე ჩვენი ცხოვრების სხვა მხარეებსაც გააშუქებს.

ოთხმოციან წლებში ილია ჭავჭავაძეს ცხარე კამათი ჰქონდა დიმიტრი ყიფიანთან ბანკის თაობაზე. ამ კამათს თავის დროზე გავეცნობით ეხლა კი გვაგონდება ერთი წერილი 1886 წ. „ივერია"-ში დაბეჭდილი დიმიტრი ყიფიანის მიერ, წერილი, სადაც რამდენიმე სტრიქონში მჭერმეტყველურად აღნიშნულია ის ფსიხოლოგიური მოტივები, რომელნიც, ყმების გაუქმების შემდეგ, ამოძრავებდნენ თავად-აზნაურობას თავის წოდების დაცვის საქმეში. აღნიშნულ წერილში იგი ამბობს: „ახალი განსაცდელი გვიდგა მაშინ კრიჭაში შესაძლებელი იყო ჩვენი ცხოვრების ღონისძიება მიგვეღებიყო, გამქრალიყო და ყველამ ერთად საჭიროდ დავინახეთ, რომ ერთმანეთისთვის ხელი მიგვეცა და ერთმანეთისათვის მეზობლურად გაგვეძლიებინებინა. ჯიბიდან ამოვიღეთ ყველამ, უკიდურესად გაქსატებულ ჯიბიდან, რაღაც სცოდავი ხუთ-ხუთი მანეთი და ასე ფულს საკმაოდ ბევრს მოუყარეთ თავი. ასე დავიდგინეთ, ასე ავიშენეთ ბანკი, რომელიც ორმოცის თუ სამოცი ათასის თუმნის ტრიალით ყველას მოგვიხერხებდა გაჭირვებაში ხელის გამართვას. ასე ვიმედოვნებდით იმ საშინელის განსაცდელის აცილებას, რასაც მაშინ უშიშარნი ჩვენ სწორედ შევუშინდითო". მაგრამ საგულისხმოა, ის გარემოება, რომ ბანკის დაარსების საჭიროების გამორკვევამდე სწავლა-განათლებისთვის საზოგადო თანხის მოგროვებასა სცდილობდნენ. და დიმიტრი ყიფიანიც თავდაპირველად იმის ცდაშია, იყო, რომ სწავლა-განათ[illegible]ქმისათვის ცალკე თანხა ყოფილიყო, მაგრამ მალე ეს ორი საქმე ერთმანეთს გადააბა და მით საფუძველი ჩაუყარა დიდ საქმეს. გუბერნიის წინამძღვრად რომ აირჩიეს 1864 წ. საყურადღებო ქაღალდს უგზავნის მაზრის მარშლებს. აი რას ვკითხულობთ ამ მოწოდებაში: „კაცობრიობისათვის და ხელმწიფის ერთგულებისათვის დიდი მსხვერპლი გვეთხოვება: ჩვენი ბატონყმობის საქმე, ანგარიშით, ამ მომავალს ნოემბერში უნდა დაბოლოვდეს. კეთილგონიერება გვაწევს, რომ ახლა განსაკუთრებითი ყურადღება ჩვენის შვილების აღზრდაზედ მივაქციოთ, რადგან ჩვენს წარსამატებელს ისე ვერა აღადგენს რა და ვერა შეავსებს რა, როგორც სწავლა და განათლება ჩვენი შთამომავლობისა. აქ გვჭირდება სხვა მსხვერპლი საკუთრად ჩვენის სარგებლობისა და არსებობისათვის... სხვა მრავალს მსხვერპლთან გავბედოთ ერთი ისეთი მსხვერპლიცა, რომ ჩვენს ძველის დროიდგან განთქმულს ქველის მოქმედობასა და კეთილშობილობის ღირსებას შეეფერებოდეს და ერთი ერთმანეთს ხელი გაუმართოთ ჩვენის შვილებისა და შთამომავლობისა ჰსწავლისა და განათლებაზედ; დროებითი სარგებლობა ქვეშეურდოთ სამუდამო სარგებლობას. საჭირო არის ფული და საჭირო არის ზრუნვა... ფული ჩვენ გვეძლევა ყმების სამსახურის სამაგიეროდ. ბევრი მოგვეცემა, თუ ცოტა, ხელმწიფე იმპერატორის წყალობის ზომაზედ არის დამოკიდებული. რაც მოგვეცემა, აქედან გადავსდოთ წილი რომელიმე, რომ ამ წილმა იტრიალოს ჩვენს საზოგადოებაშივე... მანათიდამ რომ ერთი აბაზი დავსთმოთ, მაშინ შევიძლებთ ვალების გასტუმრებასაცა, რომელიც არის ათას სამას თუმნამდის და ასორმოცდა-ათამდის ქალებიც და ვაჟების აღზრდაც. ჩვენი საქმე ამით ერთს კარგს ნაბიჯს გადასდგამს და წინაურების გზაზედ. და საქმე ხომ პირველი ნაბიჯია".. ხოლო როგორც ვსთქვი, სწავლა - განათლებისთვის ცალკე თანხის შეგროვება გადაიფიქრეს, რაკი ბანკის საქმეს დაუკავშირეს ეს საქმეც. ყოველ შემთხვევაში ქართულ გიმნაზიის საძირკვლის ჩაყრა სწორედ ამ მოწოდებიდამ იწყება. ეს იყო ამ საძირკვლის პირველი ქვა და სამართლიანად ამბობდა დიმიტრი, რომ „საქმე ხომ პირველი ნაბიჯიაო".

ბანკის დაარსების საჭიროება სავსებით გამოირკვა უკვე 1864 წელს. მთავარ-მმართველობის დეპარტამენტის გამგე, ბ. ბარანოვსკი ოფიციალურ მოხსენებაში მოგვითხრობს შემდეგს: „1864 წ. ბატონ-ყმობის გაუქმების გამო ქართველ თავად-აზნაურობაში დაიბადა აზრი აზნაურულ დამხმარე კაპიტალის დაარსების შესახებ, რათა ეს თანხა მოხმარდეს მეურნეობის გაუმჯობესობის საქმეს და თავად-აზნაურთა ახალგაზრდობის აღზრდას. ხელმძღვანელი ამ საქმისა გუბერნიის თ.-აზნაურთა წინამძღოლი დ. ს. ს. ყიფიანი იმ აზრისა იყო, რომ აღნიშნული თანხა უნდა შედგენილიყო იმ ფულის ნაწილიდამ, რომელიც უმაღლესად უნდა მისცემოდა თ.-აზნაურობას პირადი ვალდებულების მოსპობისათვის განთავისუფლებულ გლეხებისათვის. ამ საქმის დასაწყისში შედგენილ ანგარიშით ორ მილიონ ფულიდამ. რომელიც ეძლეოდათ თავად-აზნაურობას, მხოლოდ 1/5 ე. ი.

ბათუმი

◆ მესხიშვილის იუბილეი. „მოგზაურმა" დასმა დადგინა, მესხიშვილის იუბილეი მოაწყოს დიდ-მარხვის მეორე კვირაში. ამის შესახებ კიდეც შესდგომია მზადებას. დასი ტფილისის იუბილეიზე ორ წარმომადგენელს ჰგზავნის.

სოფლად.

◆ **ქვემო-სურები.** (ოზურ. მაზ.) ადგილობრივმა საზოგადოებამ გუბერნატორს ნებართვა სთხოვა რათა დაარსონ საკოოპერაციო საზოგადოება „ცხოვრების წყარო".

ჟურნალისტის დღიური

118.

საეკლესიო მუზეუმი.

ქართული საეკლესიო მუზეუმის ბედით დიდიხანია დაინტერესებულია ქართველი სამღვდელოება. როგორც არა ერთხელ გამოთქმულა პრესაში, მუზეუმის ეხლანდელი შენობა მის დანიშნულებას არ შეეფერება. ალბად ამით ხელმძღვანელობდა ეგზარხოსი ინოკენტი, როდესაც სამღვდელოებას ეუბნებოდა (იხ. „სახალხო გაზეთი", № 704, წერილი „სამღვდელოების კრებაზე"), თუ გსურთ, ორ ოთახს დავათმობინებ კავკასიის მუზეუმის ახალ შენობაშიო. ფრიად სასიამოვნოა, რომ ეგზარხოსი ინოკენტი ასე სცდილობს ქართულ საეკლესიო სიძველეთა დაცვისთვის. მაგრამ ეტყობა ყოვლად მაღალსამღვდელოეს ინოკენტის დაავიწყდა, რომ განსვენებულმა დ. სარაჯიშვილმა განსაკუთრებული თანხა დასტოვა ქართული მუზეუმის ასაშენებლად. ადგილი ამ მუზეუმისთვის უკვე შეძენილია, მალე, როდესაც განსვენებულ სარაჯიშვილის ნების აღმასრულებელნი დარჩენილ მამულების ლიკვიდაციას დაასრულებენ, შესაძლებელი გახდება შენობის დაწყებაც. უეჭველია ამ შენობაში მოთავსდება მდიდარი ბიბლიოთეკა და მუზეუმი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ და ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებებისა. ყველაზე უკეთესი ის იქნება, თუ ქართული საეკლესიო მუზეუმიც, ქართველ სამღვდელოების ინიციატივითა და შრომით შექმნილი, სადაც უმეტეს წილად ქართული საეკლესიო საარქეოლოგიო ხატები ინახება, მოთავსდეს მომავალ მუზეუმში; ამისათვის აქ შეიძლება მას განსაკუთრებული განყოფილება დაეთმოს, არამც თუ რაღაც ერთი ან ორი ოთახი;

ქართველ სამღვდელოებას უეჭველია ამ საგანზედაც ექნება მსჯელობა. მათ უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და გამოიტანონ კონკრეტიული **დადგენილება,** რომ ქართული საეკლესიო მუზეუმი მოთავსდეს მომავალ ქართულ მუზეუმში და არა სხვაგან სადმე.

ქართული საეკლესიო მუზეუმი ქართველ სამღვდელოების საკუთრებას შეადგენს, იურიდიულადაც და ზნეობრივადაც. ამიტომ მას თამამად შეუძლიან ამ მუზეუმის შესახებ ისეთი დადგენილება გამოიტანოს, რანაირიც მას თავისთვის საჭიროდა და სასარგებლოდ მიაჩნია. იცოდნენ ქართველმა მღვდლებმა, რომ ასეთი დადგენილების მოლოდინში იქნება ყოველი შეგნებული ქართველი.

შინაური.

დეპეშა

პეტერბურგი.

(საკუთარ კორესპოდენ.)

სენატმა განიხილა საქმე ილია ნაკაშიძისა, რომელსაც ტფილისის სამოსამართლო პალატამ 1 წლით ციხეხე მიუსაჯა. სენატმა ი. ნაკაშიძეს სასჯელი შეუმცირა და სამი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

სამღვდელოების კრება

21 იანვარს და 22 იანვარს სამღვდელოების კრებები გაგრძელდა. კრებები დილაობით იწყება. კრების განსახილველი საგანია შენახვა: 1) ტფ. სასულიერო სემინარიისა, 2) ტფ. საეპარქიო სასწავლებლისა, 3) სანთლის ქარხნისა, 4) საქართველოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოსი, 5) სამღვდელოებისა და 6) საეკლესიო სიძველეთა მუზეუმისა.

შარშანდელ კრებების ოქმების წაკითხვის შემდეგ კრება შეუდგა სასულიერო სემინარიის გამგეობის შუამდგომლობის განხილვას. გამგეობა თხოულობდა: 1) 300 მან. სემინარიის მთავარ ბიბლიოთეკისათვის, 2) 300 მ. სამოსწავლო ბიბლიოთეკისათვის, 3) 600 მ. მუსიკის გაკვეთილებისა და სამუსიკო იარაღის შესაძენად, 4) 600 მ. წიგნების კაზმის სწავლების შემოსაღებად და საჭირო იარაღის შესაძენად, 5) 350 მ. გიმნასტიკის გაკვეთილების შემოღებისა და საჭირო ნივთების შესაძენად, 6) 75 მან. ბიბლიოთეკის შკაფებისთვის, 7) 162 მან. ორის ახალ მსახურის მოსაწვევად და 8) 3,000 მ. აღმზრდელთა 10 ადგილის დასაარსებლად.

კრებამ დიდხანს იმსჯელა ამ შუამდგომლობის გამო და დაადგინა, შუამდგომლობაზე უარი უთხრას ნივთიერ ხელმოკლეობისა გამო და წინადადება მისცეს, ამგვარ თხოვნით საქართველოს საეკლესიო ხაზინას მიჰმართოს.

ამის შემდეგ კრებამ განიხილა სასულიერო სასწავლებლების გამგეობათა წინადადება. ამ ჟამად სასულიერო სასწავლებლების პირველ და მეორე განყოფილების მასწავლებელთ სამღვდელოება თავის ხარჯით ინახავს. სასწავლებლების გამგეობანი ამბობენ, ამ ხარჯს ხაზინას დავაკისრებთ და ის ფული, რომელსაც აქამდე იღებდა სამღვდელოება, კიდევ გაიღოს ხოლმე სასწავლებლების სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლადო. კრებამ წინადადება უარჰყო.

განხილულ იქმნა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სამღვდელოებამ 600 მნ. გადასდოს საეპარქიო სასწავლებლის საფიზიკო განყოფილებისა და სამკითხველოსთვის. კრებამ მიიღო მხედველობაში, რომ კიდევ ექნებ ლაპარაკი საეპარქიო სასწავლებლის სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე, რომელიც 50,000 მან. ხარჯს ითხოვს და დაადგინა, ეს საკითხი ჯერ-ჯერობით გადასდოს.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა: როგორ უკვდავ ჰყონ ხსოვნა განსვენებულ ალექსანდრე ეპისკოპოსისა. ერთნი საჭიროდ სთვლიდნენ, სასულიერო სასწავლებლებში ორი სტიპენდიის დაარსება, ხოლო 500 მ. გადადებას ტფ. მედავითნეთა კურსებზე გალობის სწავლის წესიერად დასაყენებლად. მღვდ. ნ. ხუციშვილი იმ აზრისა იყო, რომ ალექსანდრე ეპისკოპოსის ხსოვნა აღნიშნონ სამივე ოლქში (თელავის, გორისა და ტფილისისაში).

კრება ვერავითარ აზრს ვერ დაადგა და საგნის საბოლოოდ გადასწყვიტა, გადაიდო დღეის კრებისათვის.

მცირე განმარტება.

„ჩვენს დროება"-ში ბ-ნი მკითხველი მიაყვედურებს, ურიგობაა იმისი თქმა, რომ თავ. პ. ი. თუმანიშვილიც გაშავდებოდა, ყუთი რომ დაედგაო. მას „უეჭველობაზე" ლაპარაკი მეტად მიაჩნია მაშინ, როდესაც თავ. პ. ი. თუმანიშვილს ყუთი არ დაუდგამს. თუ ეს ურიგობაა, მაშინ ურიგოდ იქცევიან ისინიც, ვინც ამბობენ, თავ. პ. ი. თუმანიშვილს უეჭველად აირჩევდნენ, რომ ყუთი დაედგა. იყო შემთხვევები, როდესაც თავ. პ. ი. თუმანიშვილის დამქაშებს უნდოდათ ამნაირი საშუალებით თავ. პ. ი. თუმანიშვილის გახუნებული პრესტიჟი აღედგინათ. მე კი მგონია, რომ არც ერთი მტკიცებაა უხვობა და არც მეორე. მე ვმსჯელობდი იმ სულიერ განწყობილების მიხედვით, რომელიც ქართველ საზოგადოებაში გამეფდა. ეს სულიერი განწყობილება კი იყო: შავი ბაგრატიონსაც და თუმანიშვილსაც.

ბ-ნი მკითხველი, როგორც ეტყობა, ერთი იმათგანია, რომელთაც უნდოდათ თავ. პ. ი. თუმანიშვილს დაუბრუნონ ძველი პრესტიჟი; მაგრამ ეს ვეღარ მოხერხდება. რამდენჯერაც კახეთის რკინის-გზაზე ორთქლმავალი დაიგუგუნებს, იმდენჯერ მიუდგომელ ქართველს მოაგონდება, რომ ამ რკინის გზის წინაშე თავ. პ. ი. თუმანიშვილიც დამნაშავეა. ამ შთაბეჭდილებას თავ. პ. ი. თუმანიშვილის დამქაშები ვეღარავითარ საშუალებით ვერ გააქარწყლებენ...

შინაური.

„სახალხო გაზეთის" რედაქციისაგან:

რადგანაც ჩვენი რედაქციისათვის შესაძლო გახდა **პროფ. ივ. ჯავახიშვილის** შრომის **„ქართველი ერის ისტორიის"** შეძენა, გადავწყვიტეთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს გაცილებით მეტს ხარჯს მოითხოვს ჩვენგან, წლიურ ხელის მომწერთ **მეორე პრემიად** დავურიგოთ ხსენებული შრომა. „ქართველი ერის ისტორია", ზომით იქმნება არა ნაკლებ 500 გვერდისა; შიგ შევა თვით ავტორის მიერ შესწორებული და შევსებული პირველი ტომი და მეორე, ჯერ დაუბეჭდავი ტომი. წიგნს დართული ექნება პეტერბურგში საგანგებოდ დამზადებული **სურათები,** და ძველი **საქართველოს რუქა.**

ის მასალა, რომელიც უნდა მოთავსებულიყო პრემიად განზრახულ წიგნში „ქართველი მწერლები", მოთავსდება გაზეთში და უმთავრესად კი მის დამატებაში. ამ მიზნისათვის რედაქციის პორტფელშია ახალი პოემა **ვაჟა-ფშაველასი,** ახალი მოთხრობა **ბარნოვისა** და სხვა.

მცირედი უდიდეს საქმისთვის

მე პირადად დიდის აღტაცებით ვეგებები **ნინო ყიფიანის მოწოდებას,** რომელიც არის გამოთქმული „სახალხო გაზეთის" მე 797 № ში. მიუხედავად იმისა, რომ მე იმ რვა მილლიონიდან რვა გროშიც არ მერგება, რადგანაც ნადელის გლეხი არ ჰყოლია ჩვენს გვარს, უერთებ ჩემის მხრით **სამს თუმანს** და, თუ გარემოება ხელს შემიწყობს, მეტსაც იმ დიდ განზრახულ საქმისთვის, რომელიც დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენს მრავალ ტანჯულწამებულს და დაწყლულებულს საქართველოს, რათა უკანასკნელი დაადგეს განკურნების და პროგრესის გზას.

ნინო სოლომონის ასული ბათიაშვილისა

ს. დმისი.

სასკოლო კომიტეტის

მოხსენება თავად-აზნაურობას

განვლილ საუკუნის სამოციან წლებში ქართველი თავად-აზნაურობა, რუსეთის საზოგადოებასთან ერთად, შეპყრობილი იყო მისწრაფებით, მიშველებოდა მთავრობას კულტურის და განათლების გავრცელების საქმეში. ეს კეთილშობილური მისწრაფება ჩვენში, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დაარსებაში გამოიხატა. ამისთანა ბანკის დაარსება რუსეთის ისტორიაში პირველია. ბანკის შემოსავალი გადადებული იყო განსაკუთრებით მიწათმოქმედთა და მიწათმფლობელთა საერთო სასარგებლო მოთხოვნილებათა რიცხვში. ბანკის წესდება განათლების საქმესაც ჰგულისხმობდა. ბანკი თავად აზნაურთა საკულტურო საქმეები წყაროდ გადაიქცა.

რადგანაც იმ დროინდელი კანონი თავად-აზნაურობას, როგორც წოდებრივ ერთეულს, უფლებას არ აძლევდა საკუთარი სასწავლებელი ჰქონოდა, გადასწყვიტეს დაეარსებინათ „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი საზოგადოება", რომელმაც სასწავლებელთა დაარსების კანონიერი უფლება მიიღო. ამ წესდების ძალით დაარსა 1878 წელს „ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა", რომელიც, შემდეგ 1905 წელს ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიად გადაკეთდა.

ამ გვარად, ჩვენი გიმნაზია ტფილისის თავად-აზნაურთა კანონიერი შვილია, დღევანდლამდის შენარჩუნებული აქვს ეს ნათესაობა, რომელიც განმტკიცებულია არა მარტო სულიერის კავშირით, არამედ ნივთიერადაც, ამით სცხოვრებდა გიმნაზია და ამის მეოხებითაც არსებობს იგი დღეს.

განსაზღვრული დამოკიდებულება თავად-აზნაურობისა გიმნაზიისადმი, როგორც მზრუნველისადმი, როგორც მზრუნველისა და პატრონისა, შეიძლება დავინახოთ ყველა საბუთში, რომელიც დეპუტატთა საკრებულოში ინახება.

1902 წლამდე თავად-აზნაურთა სკოლისათვის ფულს აძლევდნენ ბანკის შემოსავლიდან ბანკის დამფუძნებელნი, რომელნიც მხოლოდ თავად-აზნაურთაგან შესდგებოდნენ; 1902 წლიდან კი, როდესაც ბანკის სარგებლის განაწილების უფლება უმაღლესად ებოძა თავად-აზნაურობას, როგორც წოდებრივ ერთეულს, ფულს აძლევდა თავად-აზნაურობა.

ტფილისის თავად-აზნაურთა საქებრად უნდა ითქვას: თავის მოქმედებით არასოდეს არავითარ ეჭვს არა ჰბადებდა რომ იგი სკოლის პატრონი იყო.

1902 წელს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თავად-აზნაურობამ გამოსთქვა სურვილი **„უზრუნველ ჰყოს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა მუდმივი რესურსებით".** 1908 წლის 13 ივნისის ოქმით კი საერთო კრებამ დაადგინა: ამოირჩიოს კომისსია **„მუდმივ და სისტემატიურ წყაროს გამოსანახავად, რომელსაც შეეძლოს შემდეგში უზრუნველ ჰყოს ფულის საშუალებით გიმნაზიის ბედი";** ამგვარივე სიმპატიური აზრი გამოითქმება ხოლმე დღევანდელ დღემდე ყველა საერთო კრებაზე.

გამგე კომიტეტი თავად-აზნაურთა და გიმნაზიის შორის დამყარებულ ურთიერთობაში იმედებს ჰხედავდა. ამიტომ 19 0 წ. მიჰმართა გუბერნიის თავ.-აზნ. წინამძღოლს თხოვნით, იხსნას უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობიდან გიმნაზია, რომელსაც დავალიანების გამო გაკოტრება მოელის. ამას კი ზნეობრივ ტანჯვის გარდა, მოჰყვება დაკარგვა თითქმის 2 მილიონად ღირებულ ქონებისა და დაკეტვა იმ გიმნაზიისა, რომელზედაც თავად-აზნაურობამ ამდენი შრომა და ფული დახარჯა.

საგულისხმიერო საკითხთა მთელმა რიგმა, რაიც ამ საქმის გამო მოწვეულ კერძო კრებებსა თუ კომისიებში აღიძრა დღემდის ვერავითარ გადაწყვეტილებამდე ვერ მიგვიყვანა. ამასობაში გიმნაზიის ვალი დღითი-დღე იზრდება და ნივთიერი მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება. გამგე კომიტეტი ამ ჟამად იმის გამოძიებაში არ შედის, თუ რამ მიიყვანა ამ მდგომარეობამდე ქართული გიმნაზია. გამგე კომიტეტი დღეს მხოლოდ ხელმეორედ მიჰმართავს თხოვნით ტფილისის თავად-აზნაურობას. მას მოჰყავს სათანადო მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რანაირის საშუალებით შეიძლება გიმნაზიის დახსნა და უმორჩილესად სთხოვს, ეს მოხსენება წარუდგინოს განსახილველად და გადასაწყვეტად, თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას.

(შემდეგი იქნება)

ამნისტიის გარშემო

როგორც „რუსკია ვედომოსტი" იტყობინებს, ბულიგინის კომიტეტმა სალიტერატურო დანაშაულობათ საქმენი განიხილა. გადაწყვეტილია: შეუმცირონ სასჯელი ერთი მესამედით იმათ, რომელნიც 129 მუხლის ძალით არიან დასჯილნი. სხვა მუხლების ძალით დასჯილთ სასჯელი ნახევრად შეუმსუბუქდებათ. ჯარიმებს სულ მთლად აპატიებენ.

18 იანვარს მიტროპოლიტ ვლადიმირის თავმჯდომარეობით და ობერ-პროკურორი საბლერის მონაწილეობით, შესდგა უწმინდეს სინოდის სხდომა, რომელზედაც განიხილეს სამღვდელოების მოწყალების საკითხი 300 წლის დღესასწაულის აღსანიშნავად. სინოდის ერთმა წევრმა წინადადება მისცა კრებას სამღვდელოებისთვის გადადებული ყოველწლიური ჯილდო გაადიდონ. ამ

---

350 ათასი მან. შესდგებოდა საზოგადოებრივი თანხა. 1864 წ. ბოლოში ეს წინადადება შეტანილი იყო განსახილველად უმაღლესად მოწვეულ საგანგებო სამაზრო კრებებზე. თ.-აზნაურობამ სრული თანაგრძნობით მიეგება ამ აზრს და 492 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 46 ხმისა გადასწყვიტა, გადაიდოს საქმისათვის გლეხებიდამ შემოსულ ფულიდამ 20% ამ ფულის ხაზინიდამ მიღების დროს"... რაკი ასეთი გადაწყვეტილება მოხდა, დიმიტრი ყიფიანი სწერს 17 აპრ. 1865 წ. სამოქალაქო გუბერნატორს: „გუშინდელ პირად მოლაპარაკების გამო და იმ ცნობების შესავსებლად, რომელიც 10 წარსულ მარტს მოგართვით, მოვალედ ვსთვლი ჩემ თავს დაბეჯითებით ვიშუამდგომლო მთავრობის წინაშე, რომ თანახმად თავ.-აზნ. პროტოკოლებისა, დიდი მთავრის, ნამესტნიკის მიერ დამტკიცებულებისა და ამიტომ კანონიერ დადგენილების ძალით მექონეთ, მოახდინონ განკარგულება გამოუბარონ თავად-აზნაურებს მიღებულ ფულიდამ 20 პროც. და ეს ფული სათავად-აზნაურო კაპიტალის სახელით შეინახონ ერთ-ერთ საკრედიტო დაწესებულებაში". ხოლო რაც შეეხება ბანკის სარგებლობას თავად-აზნაურთა კეთილ-დღეობისათვის, დიმიტრი ყიფიანი თავის მოწოდებაში თავად-აზნაურობის წევრთა მიმართ 9 ნოემბ. 1864 წ. ხაზს უსვამს: სხვათა შორის, შემდეგ გარემოებას: „სხვაგან თხოვნასა და ფულის გამსესხებლების მიმართვა ის არ ემჯობინება, უფრო სასარგებლო არ იქნება, რომ საჭირო ფული ჩვენის საკუთარის ბანკიდამ გავვქონდეს, მეტადრე მაშინ, როდესაც დაწესება სარგებლის რაოდენობისაც და ვალის გადახდის რიგისა ჩვენზედვე არის დამოკიდებული, რომ როგორც საერთო თანხმობით ვამჯობინებთ ისე დავაწესოთ... რა დაგვიშლის, რომ ჩვენს ბანკს ისეთი სარგებელი დაუწესოთ, რომ ჩვენთვის სასარგებლო იყოს? რა დაგვიშლის ისეთი კანონები დაუდგინოთ, რომ ჩვენს ბანკში შეტანილი მამული კი არ გვეყიდებოდეს, დროებითად შევიდეს ხოლმე ბანკის გამგებლობაში, მანამდისინ ვალი გაიწმინდებოდეს... და თუ ბანკს შემოსავლისა რომელიმე ნაწილი ჩვენი შვილების და შთამომავლობის აღსაზრდელად გადავსდეთ— გთხოვთ კარგად დაუფიქრდეთ ამასა, რამოდენად შეიმსუბუქებთ თქვენს მამობრივს ვალდებულებასა და რამოდენად მოუმართავთ მთელს საზოგადოების განათლებასა! ხომ კარგად იცით, რომ დღეიდამ განათლება-ღა არის ჩვენი ფეხზე დამაყენებელი იმედი". (Дѣло о҄ъ оснв. банк. т. I стр. 1).

როგორც ხედავთ დიმ. ყიფიანის ოპტიმიზმი უსაზღვრო იყო. განათლების და სწავლის იმედი რომ ჰქონდა, ამაში მართალი იყო, ხოლო იმგვარი ბანკის დაარსება, როგორიც ისახება ზემოდ-მოყვანილ სიტყვებში, არც ისეთი ადვილი საქმე იყო. ამაში თვით დიმიტრიც რწმუნდებოდა, ბანკის წესდების შედგენას რომ შეუდგა. ამ სიძნელეს და დაბრკოლებას ქვემოდ განვიხილავთ, ხოლო საგულისხმო ის არის, რომ ოთხმოციან წლებში, როდესაც დიმ. ყიფიანი ბანკს დაშორებული იყო და ბანკის თაობაზე ილია ჭავჭავაძეს ეკამათებოდა, მას თითქოს დაავიწყდა, რა დაბრკოლება გადაელობა, როდესაც მამულების გაუსყიდველობის საკითხის განხორციელება უნდოდა და ბრალსა სდებდა ბანკის მმართველობას, თავად აზნაურობას იმედები გაუცრუეთო.

შემდეგ ამისა საქმე ცოტა ხნით შეფერხდა. თავად-აზნაურობა მეტად გრთული იყო ბატონყმობის საკითხის გამო. მისი ყოფნა აუცილებელი იყო სოფლად, სადაც ამ დროს მიწების გაძიჯვნის საქმეც დაიწყეს. ასე გაგრძელდა 1867 წლამდე, როდესაც 6 და 8 მაისს მოხდა საგუბერნიო კრება ბანკის საკითხის გადასაწყვეტად. რა ითქვა და რა გაკეთდა ამ კრებებზე? რა იმედები ჰქონდა მაშინ თავად-აზნაურობას ბანკის თაობაზედ? ამის პასუხს, იმ კრებების პროტოკოლების გარდა, იხ. გავრ. მამაცაშვილის მოხსენებაშიაც ვპოულობთ. (ეს მოხსენება საპროტესტო ხასიათისაა და წარუდგინა თ.-აზნაურთა კრებას 1873 წელს, როდესაც საბოლოვოდ შემუშავებული იყო ბანკის წესდება) მიხეილ მამაცაშვილი ამბობს: „1867 წ. 6 მაის პროტოკოლი აღიარებს დებულებას, რომელიც სამუდამოდ ამაგრებს საბანკო დაწესებულებას და ანიჭებს მას წმინდა სათავად-აზნაურო წოდებრივ დაწესებულების ხასიათს. ყოველი თავად-აზნაური ისეთ ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო დაწესებულებასთან, რომ თავისად ჩაეთვალა იგი, დაინტერესებულიყო მისის ინტერესით და თვალი ედევნა მის საქმისათვის და განვითარებისათვის, რადგან ფაქტიურად იგი თავადი და აზნაური უნდა ყოფილიყო მისი დამფუძნებელი და მისი მმართველი"... „6 მაის პროტოკოლი, განაგრძობს მამაცაშვილი, წარმოადგენს ნამდვილ, უტყუარ და სფეციფიკურ რეაქტივს, რომელსაც უნდა გამოეწვია თავად-აზნაურობაში წოდებრივ ღირსების შეგნებას გამოფხიზლება და ეჭვს გარეშეა, რომ ამ პროტოკოლებში წოდებრივი შეგნება სავსედ და სრულიად გამოისახა". ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, რაკი ბანკს აარსებდნენ თავად-აზნაურობის დაღუპვისაგან გადასარჩენათ. ეს მტკიცედ სჯეროდათ და ადვილი საქმეც ეგონათ ბანკის საშუალებით მამულების შენარჩუნება თავად-აზნაურთა ხელში. მაგრამ ამ საქმის შემდეგი ისტორია გაცრუებაა თითქმის თავად-ახნაურობის იმედებისა. ეს თითონ დიმიტრი ყიფიანმა კარგად იგრძნო, შეუდგა რა 1867 ბანკის წესდების შემუშავებას.

რაკი აღიძრა ბანკის საქმე და წესდებათა შემუშავებაზე მიდგა ჯერი, მთავრობამ დაარსა სპეციალური კომისია, რომელსაც თვალყური უნდა სჭეროდა ამ საქმის მიმდინარეობაზე და თუ საჭირო იყო ხელმძღვანელობაც გაეწია მისთვის. კომისიის მოვალეობა იყო იმ წესდების განხილვა, რომელსაც მას წარუდგენდა თავად-აზნაურობა. ხოლო თავად-აზნაურობამ წესდების შემუშავება დაავალა მის წრიდან არჩეულ კომიტეტს, სადაც პირველი ადგილი ეჭირა დიმიტრი ყიფიანს. წესდების შემუშავებამდე დ. ყიფიანმა საზოგადო კრებას წარუდგინა მოხსენება, სადაც აღნიშნა თავისი პრინციპები მის მიერ განზრახულ ბანკისა. დიმიტრის აზრით, ბანკი უნდა ყოფილიყო საადგილ-მამულო. წოდებრივ ჩარჩოებში არ უნდა ჩაიკეტოს, რადგან ეს მავნებელი იქნება თვით ბანკისათვის. თავად-აზნაურობა მთავრობას დახმარებას სთხოვს ბანკის დაარსების საქმეში იმ განზრახვით, რომ ბანკს ამ დახმარების წყალობით შეეძლოს გლეხებსაც გაუსხნას კრედიტი. ამიტომ განზრახული ბანკი უნდა იყოს საზოგადოებრივი. მაგრამ ეს მხოლოდ სურვილია, ნამდვილად კი ბანკი თავად-აზნაურულია", რადგან ბანკი ფუძნდება, ამბობს დ. ყიფიანი, თავად-აზნაურობის ფულით, თავად-აზნაურობასვე უნდა ეკუთვნოდეს როგორც მისი გამგებლობა, ისე სარგებლობა ბანკის მოგებით. (Дѣло, т. II, 32). მომხსენებელი წინააღმდეგია, რომ ბანკს აქციონერული ხასიათი მიეცეს. აქციონერული ბანკის დაარსება სასურველი არ არის რადგან დროის მსვლელობაში „ჩვენ, ბანკის დამფუძნებელნი, დავკარგავთ ჩვენს უფლებებს. აქციონერები შეიქნებიან ბატონებათ თანხის იმ ნაწილისა, რომელიც აქციების ტრიალიდამ შესდგება". (Дѣло, II, 20). მომხსენებელი დიდ ყურადღებას აქცევს დაგირავებულ მამულების გაუსყიდველობის საკითხს. „დაგირავებული მამული არასოდეს არ უნდა გაიყიდოს, (никогда не подвергать продажѣ) თუ დამგირავებელმა ამისი სურვილი არ გამოაცხადა. ბანკს ეძლევა უფლება მამულის შემოსავალზე იმ დრომდე, სანამ ვალი არ გაიწმინდება". (ibid, II, 24).

ამ მოხსენებაში გამოთქმული დებულებანი მოწონებული იყო კრების მიერ, რომელმაც დაავალა მის წრიდამ არჩეულ კომიტეტს დ. ყიფიანის თავმჯდომარეობით ბანკის წესდების შემუშავება. მაგრამ ირკვეოდა, რომ ამგვარ ბანკის დაარსება შეუძლებელია. ძირითადი თანხა მეტად მცირე ჰქონდა ამგვარ ბანკს ნაბოძებ ფულიდამ ჯერ ხნობით შემოსული იყო 73 ათასი მანეთი. მთავრობაც ჰპირდებოდა 160 ათას მანეთს დახმარებას, და ამ ფულით კი საქმის დაწყება ძნელი იყო. ამიტომ დიმ. ყიფიანმა თავისი პირველი პროექტი, რომელიც უკვე გადაცემული იყო მთავრობის კომისიაში განსახილველად, უკანვე წაიღო და შეუდგა ახალ წესდების შემუშავებას.

საკითხის საფუძვლიანად შესასწავლად დ. ყიფიანმა დაიჭირა კავშირი პეტერბურგელ იმ დროში ცნობილ ფინანსისტებთან, ვოდთვთან და ნ. ჟუკოვსკისთან (შემდეგში სახელმწიფო ბანკის გამგე). დიმიტრის უფროსი შვილი ნიკოლოზი 1 ოქტომ. 1867 წ. სწერს თავის მამას პეტერბურგიდამ: „გუშინ გამოგიგზავნეს ბანკის პროექტი და ჟუკოვსკის დეპეშა, რომელიც ამას გატყობინებს. პროექტის მოლოდინში იყავი 1 ოქტომბრისთვის, გაიგზავნა კი მხოლოდ 30 სექტემბერს. რა დაემართა ჟუკოვსკის არ ვიცი". ამავ წერილიდამ ვტყობილობთ, რომ დიმიტრის სურვილი ჰქონდა ნ. ჟუკოვსკის მოწვევა ბანკის გამგის ადგილზე. შვილიც აღასტურებდა ამ აზრს და სწერდა მამას: „მე მგონია, რომ ერთად-ერთი პირობა და მიზეზი ბანკის არსებობისა შენი მონაწილეობაა ამ საქმეში. მარტო შენით იხეირებს ეგ საქმე. და თუ ეს ასეა, იქ ჟუკოვსკიზე უკეთესს თანაშემწეს ვერავის იპოვნი". ფინანსისტ ვოლოდოვთან უფრო მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონდა დ. ყიფიანს. ვოლოდოვი, როგორც სჩანს მიწერ-მოწერიდამ, ეხმარებოდა დიმიტრის წესების შემუშავებას საქმეში. „ჩვენი ბანკის საქმის თაობაზე სწერს ვოლოდოვი 13 ივლ. 1869 წ. დიმ. ყიფიანს, მცოდნე პირებთან ჰქონდა

წინადადებას ყველა იერარქია თანაგრძნობით მიეგება. საბოლოოდ არავერი გადაუწყვეტიათ, მოელიან მინისტრთა დადგენილებას, საზოგადოდ, მოწყალების თაობაზე. სასურველად იყო ცნობილი დღესასწაულის აღსანიშნავად სამღვდელოებას ჯვარის მსგავსი ნიშანი. ნიმუშ შემუშავებს ცალკე კომისია.

კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“

არ შეიძლება ჩვენ საზოგადოებას არ ეინტერესებოდეს საზოგ. „კახეთის“ საქმეები, რადგანაც იგი მთელ „კახეთს“ ემსახურება, მწარმოებელთა კოოპერაციას წარმოადგენს და თითქმის 20 წელიწადია არსებობს. უნდა აღვნიშნოთ, რომ მის დაარსებასა და წესდების შემუშავებაში ილია ჭავჭავაძე იღებდა მონაწილეობას. თუ რამდენად აქვს საზოგ. „კახეთს“ ძალა, იქიდანაც სჩანს, რომ ღვინის მაზანდის გამტეხი ეხლა ის არის, ყველა მას შესცქერის, სანამ საზოგადოების დამფასებელი ადგილიდან არ დაიძვრის ღვინის დასაფასებლად, ღვინის მაზანდაც გამოურკვეველია. ამ რამდენიმე წლის წინად საზოგადოების საქმეები თუმცა ცოტა შეირყა, მაგრამ ეხლა ისეა უკვე გასწორებული წელში, რომ ეს მიმდინარე და უკანასკნელი წელიწადი საზოგადოების არსებობაში საუკეთესო წლებად ჩაითვლება ღვინის ალებ-მიცემობის მხრივ. აქამდის საზოგადოების ერთი უმთავრეს ნაკლთაგანი ის იყო, რომ წევრად უმთავრესად თავადიშვილობა იყო, ეხლა კი, მეტადრე წელს, დიდძალი გლეხ-კაცობა მოაწყდა. ამნაირად საზოგადოება თან და თან წოდებრივ ფარგლიდან გამოდის და თან ახალი წევრებით უფრო უზრუნველყოფილი ხდება თავის ღვინის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

როგორც ზევითაც ვსთქვით, რადგანაც ამ რამდენიმე წლის წინად საზოგადოების საქმეები წაბორძიკებული იყო, თითქმის ყველა ბანკებმა კრედიტი შეუკრეს; ეხლა კი საქმეების გამობრუნების გამო ნელ-ნელა ყველა უხსნის კრედიტს, მაგრამ ჯერ მაინც ისე ფართოდ არ არის გახსნილი, როგორც წინად ჰქონდა. ამიტომ ცოტა ხელშეკრულობა ეტყობა საზოგადოების საქმიანობას.

ბევრი საქმე აქვს საზოგადოების გამგეობას გასაკეთებელი, ძალიან ბევრი, დიდი უნარის გამოსაჩენი ასპარეზი აქვს წინ; ერთი ასპარეზია პირდაპირ ვაჭრული: ბაზრის მოპოვება, ღვინის გასასაღებლად მისი გამაგრება კონკურენტების მხრით; მეორე ასპარეზი საკულტუროა: წევრებში მეტი ცოდნის შეტანა ფართოდ, მევენახეობისა და ღვინის დაყენების საშუალებათა გაუმჯობესება. ორივე ამ ასპარეზში წესდებით საზოგადოებას ფართო უფლებები აქვს, რომელთაგან ბევრით ჯერაც არ უსარგებლიათ. აქამდის საზოგადოების ხელმძღვანელნი თითქმის მხოლოდ პირველ ასპარეზს აქცევდნენ ყურადღებას. ეს არის მიზეზი, რომ ყოველთვის კარგი ბაზარი ჰქონდა მოპოვებული. დღეს საზოგადოებას აქვს განყოფილებები: ბათომში, სოხუმში, ბაქოში, არმავირში, ეკატერინოდარში, ეკატერინოსლავში, ტაშკენტში და განჯაში. თუმცა (ეხლა იხსნება) მოსკოვში, ასხაბადში, ამ ასპარეზზე კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ მაინც მეორე ასპარეზთან შედარებით ბევრად მეტია გაკეთებული. ჩვენი აზრით ეს ორივე გვარი მუშაობა პარალელურად უნდა მიდიოდეს, ყოველ შემთხვევაში მეორე უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. რამდენადაც შესაძლებელია, იმდენად იმუშაონ ამ დარგში; თუ ჯერ არ შეუძლიან წევრებში გაუმჯობესებულ საშუალებათა შეტანა ვენახის დამუშავებაში და ღვინის დაყენებაში, რჩევა-დარიგება მაინც შეიძლება მიეცეს, თუნდ ქართულ ენაზე შესაფერი წიგნების გამოცემით მაინც. ერთი სიტყვით საჭიროა რამეში სჩანდეს, რომ საზოგადოების წევრების ინტერესებს საკულტურო მხარეშიც დახმარებას უწევენ. ავიღოთ ქართული სამეურნეო საზოგადოება; ამას არავითარი სახსარი არა აქვს და არამც თუ რჩევა-დარიგებით კმაყოფილდება, არამედ ეხლა ამერიკულ ვაზის სანერგის მოწყობასაც აპირობენ კახეთში გაჩენილ ფილოქსერასთან საბრძოლველად; ფილოქსერა კი მტერია ვენახებისა, რომლის პატრონებიც ამ საზოგადოებას შეადგენენ.—დასასრულ მოვიყვან კიდევ პატარა საინტერესო ცნობებს. საზ. გამგეობამ ყურადღება მიაქცია, რომ მეტადრე ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა კერძო ღვინის მოვაჭრეთაგან ყალბი ეტიკეტებით ღვინის გაყიდვა. ამიტომ დაუწყო ასეთ მოვაჭრეებს კანონის ძალით დევნა. ამ დღეებში ამის გამო მომრიგებელმა მოსამართლემ განჯაში ღვინით მოვაჭრე სააკოვს 2 თვით დატუსაღება გადუწყვიტა და ტფილისელ ღვინით მოვაჭრეთ სისოევს და ზუბიაშვილს ოთხ-ოთხი თვე. ამათ გარდა კიდევ თითქმის 25 მდე საჩივარია აღძრული.

ვ.

კახეთის რკინის გზაზე.

ლოჭინის ხევი

(გარე კახეთი). ნავთლუხიდან მოყოლებული ლოჭინის ხევი პირველი პუნქტია, სადაც კახეთის რკინისგზის მოიჯარადრეების მუშათა მთავარი ძალა არის შეკრებილი. ეს ხევი ნავთლუხიდან მე-13 ვერსზე მდებარეობს. უახლოესი სოფლები ამ ხევიდან მარტყოფი, ლილო, ნორიო და სხვ., 6—10 ვერსის მანძილზე მდებარეობენ. ხევი ძალიან ციებ-ცხელებიან ადგილად ითვლება და ახლო მახლო მდებარე სოფლებთა მცხოვრებლები საქონლის გომების დადგმასაც კი ერიდებიან ამ ხევთან სწორედ ამ ციებ ცხელების შიშით. მიუხედავად ამისა მოიჯარადრეებს ძალა-უნებურად მაინც აქ უნდა შეეკრიბათ უმთავრესი ძალა მუშებისა, რადგანაც ამ ხევის მიწით ამოვსება და ზედ ხიდის გადება თითქმის იმდენსავე მუშის ძალას საჭიროებს, რამდენსაც მთელი მანძილი ვაზიანიდან ნავთლუხამდე. წარსულ აპრილიდან დაწყებული დღემდი ამ პუნქტზე ყოველ დღე მუშაობს 200—250 მუშა რამოდენიმე ათეული წყვილი ცხენებით, მაგრამ ჯერ-ჯერობით კიდევ ბევრი აკლია მუშაობის დამთავრებას. რაც შეეხება დანარჩენ სამუშაო გზას ამ ნაწილზე, ე. ი. ვაზიანიდან ნავთლუხამდე მიწის წაყრა (насыпь) თითქმის დამთავრებულია ნავთლუხიდან მეოთხე ვერსამდე. აქა-იქ პატარა-პატარა ხევ-ხუევებში ხიდების შენებასაც უკვე კარგა ხანია შეუდგნენ და ბევრგან ბურჯებიც უკვე ამოყვანილია. კარგმა ამინდებმა და მუშის ხელფასის სიიაფემ (დღიური მუშა 60—70 კ.) ძალიან ხელი შეუწყო მუშაობის წინსვლას. მთელი ზამთარი მუშაობა არ შეწყვეტილა. როგორც ამბობენ, გზის ამ ნაწილზე მომავალ გაზაფხულიდან ლიანდაგის დაგებას და სადგურების შენებას შეუდგებიან. ნავთლუხის შემდეგ პირველი სადგური განზრახულია მე-18 ვერსზე ბოლო ბაქანი მე-9 ვერსზე, ეგრედ წოდებულ პავლეს გორასთან. როგორც ერთი, ისე მეორე ახლო-მახლო სოფლებს დაშორებულია 5-10 ვერსით. ასე რომ მომავალი გაზაფხულიდან ბევრად მეტი მუშა მოიყრის თავს გზის ამ ნაწილზე, კიდრე შარშან. მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ლოჭინის ხევის ციებ-ცხელებამ და გზის ამ ნაწილზე სუფთა სასმელი წყლის უქონლობამ შეიძლება არა ერთის და ორს აწყევლინოს დღე. საქმე ის არის, რომ გასულ წელს ციებ-ცხელება-ფაღარათობამ მუსრი გაავლო მუშებს, განსაკუთრებით კი უცხოელებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავადმყოფ მუშათა მდგომარეობა კიდევ იმითი იყო გაორკეცებული, რომ გზის საავადმყოფოს სტაციონალური განყოფილება მხოლოდ 30 ვერსის მანძილზე, სოფ. საგარეჯოში არსებობდა. ადვილი წარმოსადგენია რა ტანჯვა უნდა განეცადა ავადმყოფ ადამიანს მიწის გადასატან „ტაჩკით“ 30 ვერსზე ჯრიალით. სასურველია მომავალ გაზაფხულისთვის მაინც მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას და ამ მხრით მაინც უზრუნველ იქნეს მუშის მდგომარეობა გზის ამ ნაწილზე.

ჯ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„იგავ არაკნი“, ალ. მირიანაშვილისა. „ნაკადულის“ 1912 წ. საჩუქარი.

ქართველებისათვის არაკები ახალი ხილი არ არის. უბრალო, წერა-კითხვის უცოდინარ, ხალხსაც კი, შეიძლება ჩვენი ხალხის ბუნებრივ თვისებათა გამო, განვითარებული მოთხოვნა აქვს სიტყვიერების ამ დარგში. ხალხს ძალიან უყვარს არაკის ნაირი ამბავი. წარმოიდგინეთ იგი ღირსეული მსჯავრის მდებელიც კი არის. აბა, სცადეთ და უამბეთ ხალხს რამდენიმე არაკი. უეჭველად, მის გულს მოხვდება, რაც თანამედროვე კრიტიკის შეხედულებით განვითარებულ გემოვნებას და გონებას უნდა აკმაყოფილებდეს.

მწერლობაში საბა სულხან ორბელიანის აზრით სავსე, მოუწყინრად საკითხავი არაკები ხომ საყვარელ წიგნად ჰქონდა ქართველ ოჯახს და აქვს კიდეც, სადაც კი ქართველობა შენახულა.

მაშასადამე სიტყვიერებისამ დარგს ჩვენში უკვე თავისი მდიდრი წარსული აქვს.

ეს შემთხვევა უფრო მეტ ღირსებას აძლევს იმ სიმპატიას და სიამოვნებას, რომლითაც შეხვდა ქართული პრესა ბ. მირიანაშვილის „იგავ-არაკებს“ არაკს—გონების პოეზიას უწოდებენ. ამბობენ მისთვის სიულიად საჭირო არ არის კაცი, რომ იტყვიან ზევარდმო ნიჭით ცხებულიო, ღრმა აღფრთო ვნების პატრონი. არაკი უფრო სხვა ბუნების და ხასიათის კაცს ხვედრია. მისი შემქნელი წყნარი და ჩუმი ბუნების მქონე ადამიანია, ხშირად დაუდევარის, მაგრამ მეტად დაკვირვებულ ხასიათისა, სავსე, თუ შეიძლება ეგ ითქვას, პრაქტიკულის ნიჭით და მხიარულის ბუნებით.

არაკის შინაარსი—ნამდვილ ცხოვრებისაგან, ყოველ-დღიურ სიკოცხლისაგან გამომდინარე სიბრძნეა... ბ. მირიანაშვილს თავის წიგნში 125 პატარა მოთხრობა აქვს შეტანილი და ყველა მათგანში ეს, დღემდის მიღებული კანონები მშვენივრად აქვს დაცული. ყველგან პრაქტიკული ჭკუა-გონება სჭარბობს. მთელი პოეზია ამ მოთხრობებისა იმაშია, რომ მოსწრებულ, ჭკვიანურ სიტყვებით, ლამაზად და სასიამოვნოდაც კი მიგვითითოს ჩვენის ცხოვრების ავ-კარგზე. ამ მითითებაშიაც ძლიან ხელოვნურად, დიდის ცოდნით იქცევა ბ. მირიანაშვილი.

კარგი არაკის ერთ უმთავრეს მოთხოვნას ის შეადგენს, რომ აზრი შიგ უნდა იყოს ჩაქსოვილი, იგი თავის თავად უნდა გამომდინარეობდეს მოთხრობიდამ. თუ ავტორი იძულებულია ხელოვნურად მიაბას იგი, ძალადობა იხმაროს, არაკი არ ვარგება, შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. ბ. მირიანაშვილს ეს მოთხოვნა კარგი არაკისა მეტად მოხერხებულად აქვს აღსრულებული. ადენ მოთხრობებში არც ერთგან ნაძალადობა, უბუნებრივობა არ ეტყობა. ხშირად შინაარსთან ისეთის შედუღებული, ხალხური ანდაზით ან თქმულებით გესმის ეს დედააზრი, რომ უნებლიედ აღტაცებაში მოდიხარ. სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე მოქმედების ადგილის და მოქმედ პირების მხრივ.

მოქმედება ჩვენ საყვარელ კარმიდამოს არ გასცილებია. მოქმედნი პირნი სულ კარგა ნაცნობნი, ჩვენებურნი არიან: გლეხი კაცი, თავადი, ვაჭარი, ცხოველი, ნადირი, მცენარე და სხ. და სხვ.

ყველაფერი ის, რაც მეტად ახლოა და ღვიძლია მსოფლ-მხედველობისა ნამდვილი ხალხური ხასიათი, ხალხოსნობა ხომ უფრო მეტ ღირსებას აძლევს წიგნს. მშვენივრად არის გამოხატული ჩვენი ეროვნული ხასიათის სხვა და სხვა მხარეები. ცოცხლად და მეტყველად არის დახასიათებული ერის უმრავლესობა გლეხობა — თავის გულუბრყვილობით, ზნეობრივის სიფაქიზით, მძიმე, მაგრამ საღი ჭკუით, ყველას მენდობი, და ამიტომ ყველასაგან ადვილი მოსატყუარი, გულკეთილი, მაგრამ ავის ავით გადამხდელი, მახვილი, გრძნობის კარგი გამომთქმელი ენის პატრონი.

ყველაფერი ეს მოთხრობილია ისეთ მეტყველ სურათებში და ტიპებში, ისეთის სასიამოვნო ქართული ენით, რომ მკითხველი უნებლიედ ავტორისადმი დიდის მადლობით ივსება. ასეთი შინაარსით მდიდარი და ენით მსუბუქი წიგნი მართლა რომ კარგი საჩუქარია „ნაკადულის“ მკითხველისათვის. ბავშვთა აღზრდაში, მეტადრე ჩვენთვის, ასეთი წიგნი დიდ მნიშვნელობას იქონიებს. იგი შეუმჩნევლად, კითხვის გამო ნაგრძნობ სიამოვნებით ჩაჰბერავს მათ ქართულ სულს, შეაჩვევს და ასწავლის ქართულ ენას და გაამდიდრებს მათ გონებას მშვენიერს შთაბეჭდილებებით ქართულის ცხოვრებიდამ.

გამომცემთაც—ეტყობა არაფერი დაუზოგავთ, რომ წიგნი შესაფერისად გამოცემულიყო. ლამაზი ფორმატი, სუფთა, საშუალო ზომის შრიფტი. გემოვნებით ნაბეჭდი შიგა და შიგ დარჩენილი ხაზებით, შნოიანად ნახატი, ხშირად ქართულ ჩუქურთმულ ხელოვნების ორშიებით შემოვლებული, მთავარი ასოები. დაუმატეთ ამას, რომ თითქმის ყოველ მოთხრობას თან ახლავს სუფთად შესრულებული, უმეტესად ცნობილ ოსკარ შმერლინგისაგან ნახატი, სურათები,—ყველა ეს ერთად აღებული ისეთს კარგს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, რომ ძალიან საწყენი იქნება, თუ ეს წიგნი ფართოდ არ გავრცელდა ქართულ ოჯახებში. ასეთი მშვენიერი საბავშო საკითხავი წიგნი იშვიათად გამოიცემა ხოლმე ჩვენში.

შ. ქ—ძე.

სხვა და სხვა ამბავი

◆ **როგორ ცხოვრობს ინგლისის ტახტის მემკვიდრე.** ამას წინად ინგლისის ტახტის მემკვიდრე, უელსის პრინცი, თავის პაპის ედუარდ VII-ის მზგავსად, ოქსფორდის უნივერსიტეტში სტუდენტად ჩაეწერა. პრინცი მალე შეეჩვია უცხო გარემოებას და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ არაფრით გამოერჩეს თავის ამხანაგ-სტუდენტებს. იგი განგებ ერიდება ყოველგვარ ეტიკეტს და უბრალოდ სცხოვრობს. მაგ., თვითონ ჰყიდულობს ოქსფორდის მაღაზიებში საჭირო სასწავლო ნივთებს და საკუთარი ხელით მიაქვს, რადგან არა ჰსურს შინ მისატანად ადრესის დატოვება მაღაზიაში—მაშინ ყველა გაიგებდა მის ვინაობას. მემკვიდრის უბედურებას შეადგენს ის გარემოება, რომ მის დასაცველად მიჩენილი აგენტები კვალ და კვალ დასდევენ მას. პრინცსა და დამცველებს შორის მუდამ ნამდვილი ბრძოლაა გამართული: აგენტები შიშობენ, რომ მემკვიდრე მათ დაუზვერავად არსად წავიდეს, ხოლო პრინცი კი მუდამ იმის ცდაშია, რომ როგორმე გაეპაროს თავის დამცველებს. დამცველების შიშნი იმ გარემოებითაა გამოწვეული, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტში რამდენიმე ინდოელი სტუდენტია, რომელნიც, უნივერსიტეტის მთავრობის აზრით, ვერ არიან სანდონი. და აი, ინგლისის ცხოვრების ერთი ტიპიური მოვლენაც: არავის არ მოსდის თავში ამ „საეჭვო“ სტუდენტების სხვა უნივერსიტეტში გადაყვანა. უბრალო მოქალაქის პირადი ღირსება ტახტის მემკვიდრის ინტერესების თანაბრად ფასდება.

◆ იანვარს დაიწყო საბირჟო ვაჭრობის და მეურნეობის წარმომადგენელთა მორიგი კრება. კრება მრავალ-რიცხოვანია და 6 დღეს გასტანს. იგი დაიყოფება 5 სექციად. ყველაზე საინტერესო იქნება საკომერციო სწავლის სექცია. აგრეთვე ინტერესს არ არის მოკლებული იმ სექციის მუშაობა, რომელსაც მინდობილი აქვს გადასინჯოს სავაჭრო-სამრეწველო კანონმდებლობა. კრების თავმჯდომარედ პროხოროვი არის.

◆ **რეპინის სურათის გარშემო.** მოსკოვში ხმები დადის, რომ ბალაშოვი, რომელმაც რეპინის სურათი დაამახინჯა, შეშლილი კი არ არის, თავს იგიჟიანებსო. მან შავრაზმულის მოსაზრებით დაამახინჯა სურათიო. უნდა ვსთქვათ, რომ „პატრიოტები“ მტრულად უყურებენ რეპინის სურათს „იოანე მრისხანეს“.

რეპინის გადამახინჯებულ სურათის აღდგენა იკისრა გამომცემელმა რესტავრატორმა ბოგოსლოვსკიმ. სურათის აღდგენას მოუნდება სამი თვე.

რეპინს აუარებელი დეპეშები მოსდის, რითაც მწუხარებასა და თანაგრძნობას უცხადებენ.

რეპინის სურათის დამახინჯება

16 იანვარს შეშლილის ხელით კინაღამ არ დაიღუპა. რუსულ მხატვრობის საუკეთესო ნიმუში და ხე-

---

ლაპარაკი. ის აზრი გამოვიყვანე, რომ იმ დროდამ, რაც შევადგინე პროექტი, სამინისტროში აზრი შეეცვალათ, რითიც უნდა ვისარგებლოთ. თუ რაიმე დაბრკოლება იბადება, კატეგორიული ხასიათის ინსტრუქციები უნდა გამოართვათ თავად-აზნაურობას და ამის მიხედვით შეიძლება პროექტის გადაკეთება“. ერთი სიტყვით, დიმ. ყიფიანმა ვოდოვის დახმარებით დააბოლოვა ამ მეორე პროექტის შემუშავება და წარუდგინა განსახილველად მთავრობის კომისიას. აი ზოგიერთი საჭირო ცნობები, რომლებსაც გვაძლევს ამის გამო თავის მოხსენებაში მთავარ მმართველობის დეპარტამენტის დირექტორი ნ. ბარონოვსკი. „ახალი პროექტი, ამბობს ბარანოვსკი, სათავად-აზნაურო კომიტეტის მიერ კომისიაში წარდგენილი, შემუშავებულია იმგვარ დებულებაზე, რომელიც არ შეიძლება არ აღვიაროთ დასხვაფერებად (нельзя не признать уклоненіемъ) იმ აზრისა, რომელიც თავად-აზნაურთა კრებაზე იყო მოწონებული. საზოგადოებრივ-აზნაურულ ბანკის ნაცვლად, რომელიც წოდებას ეკუთვნის, ამ პროექტით ბანკი ისახება კერძო დაწესებულებად, რომელიც ეკუთვნის აქციონერთა საზოგადოებას“. მართლაც, ამ ახალ პროექტში შეტანილი იყო ისეთი ცვლილება, რომელიც ბანკის ხასიათს სცვლიდა. ასე, მაგალითად, ძირითადი თანხა ბანკისა 500 ათ. მ. უნდა ყოფილიყო, რომელიც უნდა შემდგარიყო 10 ათ. მანეთის „პაიებიდამ“ ღირებული თითო 50 მან. 6000 პაი თავად-აზნაურობისაა, 4000 პაი კი ეკუთვნის ყველას, ვინც კი იყიდის მას, განურჩევლად წოდებისა. ამ მუხლის შეტანა წესდებაში ბანკის დამტკიცებას საქმე დააგვიანა. აქციებმა სხვა ელფერი მისცეს ბანკს და ერთს ბანკში თითქოს ორი საკრედიტო დაწესებულება უნდა დაარსებულიყო—სასოფლო-სამეურნეო და საქალაქო, სავაჭრო საკრედიტო დაწესებულება. რაკი ასეთი ორმაგი ხასიათისა აღმოჩნდა, კომისიაში იმ აზრისაც იყვნენ, რომ ორად გაიყოს ბანკი და ორი დაწესებულება დაარსდეს, საადგილ-მამულო კრედიტი და საქალაქო სავაჭრო. „მაგრამ, ამბობს ბარონოვსკი ამ აზრის განსამარტავად, ეს წინადადება რომ მიეღოთ, ამ შემთხვევაში სრულიად შეიცვლებოდა წოდებრივი ხასიათი ტფილისის ბანკისა, შეიცვლებოდა აგრეთვე ამ ბანკის აზრი—მიწის მფლობელთავის კრედიტის შოვნა, რაიც აზრად ჰქონდა თავდა-პირველად ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას და (ეს აზრი გამოთქმულია სათავად-აზნაურო კრების პროტოკოლებში, რომლითაც უხდა ეხელმძღვანელა ამორჩეულ კომიტეტს. ამიტომ დეპარტამენტის აზრით, ეს საკითხი, ე. ი. ორი სხვა და სხვა ბანკის დაარსების მოსაზრება თავდაპირველად უნდა იყოს წარდგენილი განსახილველად თავად-აზნაურთა საზოგადო კრებაზე. ამგვარადვე ირკვევა საჭიროება, რომ ახალი პროექტი, კომისიაში წარდგენილი (დიმ. ყიფიანისა), რომელიც არსებითად განსხვავდება, საზოგადო კრებაზე გამოცხადებულ თავად-აზნაურობის სურვილისაგან და სცვლის პირველ პროექტის შინაარს, რომლის ძალით ტფილისის ბანკი წოდებრივი საადგილ-მამულო ბანკი უნდა ყოფილიყო, რომ ეს ახალი პროექტიც იყოს განხილული თავად-აზნაურთა საზოგადო კრების მიერ“.

დიმიტრი ყიფიანი, ფინანსიტ ვოდოვის ზედგავლენით, აუხვია იმ გზას, რომელზედაც თითონვე იდგა. ხომ ვიცით, 1865 წელს აქციებზე დაფუძნებული ბანკის დაფუძნებას დიმიტრი არ ურჩევდა თავად-აზნაურობას. აქ წინააღმდეგობა აშკარაა. და შემდეგში, მესამე წესდების შემუშავების დროს, აქციებს დიმიტრი ყიფიანი აღარ იხსენიებს. აშკარა იყო, რომ „პაიებზე“ დამყარებული ბანკი თავად-აზნაურობას ხელს ვერ გაუმართავდა. მაგრამ ამ მეორე პროექტში მამულების გაუსყიდველობის საკითხიც შესამჩნევად არის გადასხვაფერებული. წესდების 200 მუხლის ძალით დამგირავებელს შეღავათს აცლიან 6 თვის განმავლობაში. თუ ამ ხნის განმავლობაში ვალი ვერ გადაიხადა, მამული ერთის წლის ვადით შედის ბანკის გამგეობაში. ხოლო თუ არც ერთის წლის შემდეგ გამოისყიდა დამგირავებელმა, მამული იყიდება.“ (Дѣло II 201—203). როგორც ხედავთ, თავდაპირველი სურვილი, რომ მამული არასდროს არ გვეყიდებოდესო, ამ მეორე წესდებაში განუხორციელებელ სურვილად არის აღიარებული.

„პაიებზე“ დამყარება ბანკის საფუძვლისა მართლაც სცვლიდა გარემოებას მემამულეთა და „პაიშჩიკთა“ შორის ქიშპობა აუცილებელი იქნებოდა. „პაიშჩიკები“ იმის ცდაში იქნებოდნენ, რომ ბანკს რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიეცა. ხოლო რადგან სარგებელს მეტს იძლევა კომერციული ოპერაციები, ამიტომ ისინი ეცდებოდნენ ამ ელემენტების გაძლიერება ბანკში. მემამულენი კი, რომელთფვის ბანკის მოგების ზრდას ისეთი მნიშვნელობა არ ექნებოდა, კომერციულ ოპერაციების გაძლიერების წინააღმდეგნი იქნებოდნენ. ამ საკითხის შესახებ ვ. კაიდანოვი, სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების იმდროინდელი გამგე ამბობს: „წესდების 59 მუხლის ძალით ბანკის ოპერაციების გეგმა ხმის უმეტესობით წყდება, ხოლო 64 მუხ. ძალით წესდების შევსება და შეცვლა $2/3$ ხმით წყდება. ასე რომ ბანკის მოქმედების მიმართულება დამოკიდებული იქნება ყოველთვის იმაზედ, თუ შემთხვევით რომელი კატეგორიის მონაწილე მეტი დაესწრება კრებას. ყოველ შემთხვევაში, ყოველ კრების შემდეგ, სადაც ერთი კატეგორიის მონაწილენი თავიანთ ინტერესებს გაიყვანენ, დანარჩენი მონაწილენი უკმაყოფილონი იქნებიან“.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ხასიათის ბანკის წესდება, თუმცა დიმ. ყიფიანის მიერ იყო შეტანილი კომისიაში, ფინანსისტ ვოდოვის ნაზრევი უნდა ყოფილიყო. მართალია, საქციონერო ბანკი თითქოს სწყვეტდა ძირითადი თანხის გაძლიერების საკითხს, სამაგიეროდ იგი არ ეგუებოდა სასოფლო სამეურნეო ინტერესებს. რომ ჩვენ ამაში არა ვცდებით, ე. ი. რომ დიმიტრი ყიფიანის აზრით სულ სხვა ხასიათის ბანკი ეპირებოდა თავად-აზნაურობას, ამას სავსებით ამოწმებს ამ საკითხის შემდეგი ისტორია. როგორც მოგეხსენებათ, საბოლოვოდ ბანკის საქმე გადაწყდა 1875 წ., როდესაც დამტკიცებული იყო ახლად შემუშავებული ბანკის წესდება. ამ საქმეში დ. ყიფიანს მონაწილეობა აღარ მიუღია. ხოლო აღნიშნულ წესდებაში არ იყო შეტანილი სურვილები, რომელიც 6 და 8 მაის. 1867 წლ. თავად-აზნაურთა კრებაზე იყო გამოთქმული და ბანკის ისტორიის საყურადღებო მომენტად უნდა ჩაითვალოს ის მომენტი, როდესაც დიმ. ყიფიანი ილაშქრებდა ბანკის მოქმედების წინააღმდეგ და ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკაში აშკარად ჰყოფს იმ აზრს, რომ დიმიტრის ყოველთვის, წინადაც და ეხლაც, ის აზრი ამოქმედებდა, რომ მისის შეგნებით, ბანკს უნდა დაეცვა თავად-აზნაურობა, გაემაგრებინა მიწისმფლობლობა და უმაღლეს წოდების აღორძინების წყაროდ გამხდარიყო. პოლემიკა, რომელიც 1886 წელს ატყდა დიმ. ყიფიანისა და ილ. ჭავჭავაძის შორის, სავსებით ადასტურებს ამ ჩვენს მოსაზრებას და ამასთან ერთად უფრო მეტ სინათლეს ჰფენს თვით ბანკის საკითხს და იმ ილუზიებს, რომელთაც უღვიძებდა თავად-აზნაურობას ბანკის დაარსება.

1883 წელს ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წრიდამ არჩეული იყო სამ წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ბანკის საქმეების გადასინჯვა და გამონახვა უკეთესის პირობებისა მამულების დაფასებისა და დაგირავებისა. სამთა კომისიამ მიჰმართა დახმარებისათვის დ. ყიფიანს, ძალიან დაგვავალებთ, თუ ხელმძღვანელობას გაგვიწევთ ამ საქმეშიო. დავით ყიფიანმა წერილობით მიჰმართა ამ გვარის თხოვნით. დიმიტრი ყიფიანმა, სხვათა შორის, უპასუხა შემდეგი: „ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკს ეხლანდელის მისის მიმართულებით არ თანაუგრძნობ. მე სურვილი მქონდა მიწისმფლობელთათვის და მიწის-მომქმედთათვის ბანკის დაარსება, არსებული ბანკი კი უმთავრესად ქალაქის სახლის პატრონთათვის ყოფილა დაწესებული. დამფუძნებელთათვის, ე. ი. თავად-აზნაურობისათვის, კრედიტით სარგებლობა უკიდურესად გაძნელებულია, ხოლო მიწის-მომქმედთათვის სრულიად მიუწვდომელი. ამ საქმის ინიციატორად არასოდეს არა ვყოფილვარო“. 1884 წელს გორის სამაზრო კრებაზე ამასვე ამბობდა დიმ. ყიფიანი: „ვალის ამღებნი ისეთივე წევრნი არიან, როგორც დამფუძნებელნი და რადგანაც პირველნი ბევრად მეტნი არიან მეორეებზე, აშკარაა დღეს არა ხვალ ჩვენი ბანკი იმათი გახდებაო“... ასე აიცრუა გული ბანკზე. მაგრამ განა ის სააქციონერო ბანკი, რომლის წესდებასაც ამუშავებდა დიმიტრი ყიფიანი, უფრო მეტად არ ემსგზავსებოდა ამ ხასიათის ბანკს? საქციონერო ბანკი ქალაქის საკრედიტო დაწესებულებას უფრო მიაგავდა, ვიდრე დღევანდელი ბანკი. იქ ხომ ბანკის თანხა და სარგებელი „პაიშჩიკების“ კუთვნილებად ითვლებოდა. ასე რომ ამაზე რომ შევდგეთ, ეს საყვედური დიმ. ყიფიანისა უსაფუძვლო საყვედურად აღმოჩნდება. მაგრამ იქნება დიმიტრის პროექტებში სხვა რამეც იყო, რაც აკლდა ეხლანდელ ბანკს? **აზრით** მართლაც სხვა რამ უნდოდა დიმიტრი ყიფიანს, ხოლო პრაქტიკულის განხორციელებით მისი წესდება არამც თუ არ ჰსახავდა მის აზრს, ზოგიერთ შემთხვევაში ჰფარავდა კიდევაც ამ აზრს. თავი და თავი ზრუნვა დიმ. ყიფიანისა დაგირავებულ მამულის გაუყიდველობის საკითხი იყო. მაგრამ თვით დიმ. ყიფიანისთვის აშკარა იყო შეუძლებლობა ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელებისა. 1867 წელს საგუბერნიო კრებას, როგორც ვიცით, წარუდგინა შემდეგი წინადადება: „დაგირავებული მამული, დამგირავებელის სურვილის წი-

ლ ავნების გვირგვინი—რეპინის სურათი „იოანე მრისხანე და მეფის წული იოანე.“

დილის 11 საათზე, როცა ტრეტიაკოვის გალერია მაყურებელთათვის გაიხსნა, გალერიაში შევიდა უცნობი ახალგაზრდა კაცი მუშურად ეცვა. მისი სახე მუზეუმის მსახურთათვის ნაცნობი იყო, რადგანაც თურმე ბოლო დროს ხშირად დაიარებოდა ხელოვნების ტაძარში, დიდ ხანს ჩერდებოდა სურათების წინ, განსაკუთრებით რეპინის სურათის წინ და ჩაფიქრებული უმზერდა. 16 იანვარს, ახალგაზრდა უცნობი მივიდა სურიკოვის „ბოიარინა მოროზოვის“ სურათს წინ 5 წუთს იდგა ჩაფიქრებული. უცბად იძრო დანა და გაექანა „იოანე მრისხანისკენ“ ყვირილით: „სისხლი! რად უნდა სისხლი! რისთვის არის საჭირო? შორს სისხლი!“ და სამჯერ დაჰკრა დანა სურათს, რითაც სამ ალაგს გასჭრა. მსახური მაშინვე გაექანა შეშლილისკენ და დანა წაართვა.

იგი შეიყვანეს ცალკე ოთახში, სადაც სწრაფად მოვიდა ოსტროუხოვი. პოლიციელზედაც და ოსტროუხოვზედაც ახალგაზრდამ შეშლილი ადამიანის შთაბეჭდილება მოახდინა. ახალგაზრდა [illegible] დაბნეულად იძლეოდა: ხან ტიროდა, და გულ-წრფელის კილოთი იხვეწებოდა: „მაპატიე, ოხ რა ჩავიდინე!“ ხან კი ისე შეჰყვირებდა: „რა საჭიროა სისხლი! რისთვის არის საჭირო სისხლი? იგი აღმოჩნდა გვარად ბალაშოვი საეკლესიო მხატვარი. როდესაც ჰკითხეს: დანა რათა გქონდაო? ბალაშოვმა უპასუხა: „იმისთვის რომ, სისხლი ედინა სურათებისთვის და ადამიანისთვისო“.

ოსტროუხოვის სიტყვით, თუმცა სურათი ძლიერ არის დაზიანებული, მისი აღდგენა მაინც შესაძლებელია რადგანაც ისეთი მთავარი ადგილები, როგორც იოანე მრისხანეს თვალები და ტუჩები დამახინჯებას ასცდენია.

ტრეტიაკოვის გალერიამ ეს სურათი შეიძინა 1775 წ. [illegible] ათას მანეთად. მცოდნე პირთა აზრით ეს სურათი 100 ათასი მანეთი არის.

საღამოთი რეპინს დეპეშა გაუგზავნეს, რაც შეიძლება მალე ჩამოდი მოსკოვშიო დეპეშა გაუგზავნეს აგრეთვე პეტერბურგში ცნობილ რესტავრატორს ბოგოსლოვს.

რეპინი მოსკოვში ჩავიდა თუ არა, მაშინვე ტრეტიაკოვის გალერეას მიაშურა. დიდ ხანს იდგა ის დასახიჩრებულ სურათის წინ რომელიც სხვა ოთახში გაიტანეს. ცრემლები ყელში ებჯინებოდა. ტირილს იკავებდა.

როცა რეპინი, ცოტა დაწყნარდა ოსტროუხოვი, თვით მხატვარი და სხვანი შეუდგნენ იმის განხილვას, თუ როგორ შეიძლება სურათის აღდგენა. ოსტროუხოვი არის დარწმუნებული, რომ სურათის აღდგენა შეიძლება. რეპინი ჯერ უიმედოდ უყურებდა სურათის აღდგენის საქმეს, არ სჯეროდა იგი, მაგრამ შემდეგ დაიჯერა გამოცდილ ოსტროუხოვის სიტყვები.

მომხდარ უბედურებამ აიძულა ტრეტიაკოვის გალერეის ადმინისტრაცია დაეჩქარებინა სურათების შუშაში ჩასმა, რათა სამუდამოდ უზრუნველყოფილი იყოს სურათები ყოველგვარ უბედურებისაგან. რეპინს აფიქრიანებს, ბალაშოვის უგვანო საქციელს წამბაძველები არ გამოუჩნდნენო.

ბალაშოვის საქციელი, ეჭვს გარეშეა,—ავადმყოფ ადამიანის საქციელია. ექიმთა კონსილიუმმაც იგი ავადმყოფად იცნო.

ბალაშოვმა განაცხადა, დიდი ხანია გადავწყვიტე რეპინის სურათის მოსპობა და ამისათვის შევიძინე მოკაკული დანა, რომლითაც დავხიე „იოანე მრისხანე“. ზოგიერთებს და მათ შორის რეპინსაც ეჭვი დაებადა: ბალაშოვი ხომ არავისგან იყო მოსყიდულიო. მაგრამ ამის საბუთი არა სჩანს.

ამბოხება ოსმალეთში

დეპეშები

მოძრაობა მცირე აზიაში.

ბეირუთის მცხოვრებნი არ ემორჩილებიან მაჰმუდ-შევქეთ-ფაშის სამინისტროს, ასეთივე ცნობა მოვიდა ბასორიდან, ალეპოდან, ანგორიდან და კონიიდან. ყოველ მხრიდან იუწყებიან, რომ მცხოვრებლებმა გადააყენეს ახალი მთავრობის გუბერნატორები და თავისიანები დანიშნეს. ბოსფორის ნაპირზე, სკუტარიში აჯანყდნენ ანატოლიის ჯარის კაცები. საზღვაო აფიცრები მოითხოვენ ენვერ-ბეის დასჯას და მაჰმუდ-შევქეთ-ფაშის სამინისტროს გადადგომას, წინაღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან, რომ სტამბოლს სამხედრო ფლოტის არტილერიით გავანადგურებთო.

მშიერთა დემონსტრაცია.

ტრიპოლიდან გადმოსახლებული მუსულმანები ქალიან-ბავშვიანად შეიკრიბნენ სტამბოლში და სამინისტროს შენობის წინ დიდი მანიფესტაცია გამართეს, თან იძახდნენ: „მოგვეცით ფული და პური, რომელსაც „ახალგაზდა ოსმალები დაგვპირდნენო“. მათ წარუდგა მაჰმუდ-შევქეთ-ფაშა, აღუთქვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება და სთხოვა დაიშალენითო. დემონსტრანტები მუქარით დაიშალნენ.

ადრიანოპოლის ჯარიც ჰღელავს.

სოფიის ინგლისელი ელჩის ცნობით, ადრიანოპოლის გარნიზონში მღელვარებაა, რადგან მეციხოვნე ჯარი არ თანაუგრძნობს „ახალგაზდა ოსმალებს“ და ციხის დანებებას მოითხოვს. ამბოხების ჩაქრობის დროს მოჰკლეს რამდენიმე აფიცერი. ციხის უფროსი შუქრი-ფაშა შიშით სახლიდან ვეღარ გამოდის. ციხეში სრული ანარქიაა გამეფებული. თუ ომი განახლდა, ადრიანოპოლი მალე დაემხობა, რადგან სურსათი აღარ არის და ჯარის უნაყოფო ლოდინით ილაჯ გაწყვეტილია. ქალაქს ალყად არტყია 105.000 ხიშტი, რომელთაგან 30.000 სერბიელია. ბულგარეთმა ახლახან მოიტანა ახალი შორსმსროლელი არტილერია, რომელსაც ორი დღის განმავლობაში შეუძლია მტვრად აქციოს მთელი ქალაქი.

ეროვნული თავდაცვის კომიტეტი.

შესდგა ეროვნული თავდაცვის კომიტეტი, რომელშიც შედიან: ფუად-ფაშა, ენვერ-ბეგი, საბაჰ-ედინი და სხვანი. კომიტეტმა შემდეგი შინაარსის პროკლამაცია გამოსცა: „სამშობლო განსაცდელშია ყველა პარტიის მოვალეობაა შეერთდეს და იხსნას იგი“.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

2 იანვარი.

ბელგრადი. ჩამოვიდნენ ნოვაკოვიჩი და ნიკოლიჩი. მათ მწუხარებით გამოსთქვეს, რომ კაცთმოყვარეობის გულისთვის ვერ შესძლეს მოლაპარაკების გაგრძელება. ისინი იძულებულნი იყვნენ ომი განეახლებინათ, რათა მუდმივი ზავი უზრუნველეყოთ.

გაზეთი „პრავდა“ გვაცნობებს, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა დადგენილებით სერბიის ჯარის ერთი ნაწილი ჩათალჯასთან ბულგარელებს მოეშველება მეორე ნაწილი კი ჩერნოგორელებს სკუტართან.

სოფია. თუ საღამომდე მთავრობა ცნობას არ მიიღებს, რომ ოსმალეთმა დიდ სახელმწიფოთა წინადადება მიიღო, სამხედრო მოქმედება ადრიანოპოლთან დაიწყება.

სოფია. არა ოფიციალური ცნობებით ადრიანოპოლთან საომარი მოქმედება დაიწყო 21 იანვარს, საღამოს 8 საათზე (?). ადრიანოპოლს ყუმბარები დაუშინეს, სროლა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. 22 იანვარს ყუმბარების სროლა განაახლეს, ადრიანოპოლში ზოგიერთი უბანი ცეცხლის ალში გახვეულა.

სოფია. გაზეთი „მირი“ უკმაყოფილებას უცხადებს ბულგარეთის ზოგიერთ მეგობარს, ვინც უსაყვედურა აჩქარება. „მირი“ სწერს: ოსმალეთის ჯიუტობის გულისთვის ბულგარეთის ნახევარ მილიონის ჯარში სამხედრო წესებია გამოცხადებული, ამ მდგომარეობაში მოლაპარაკების გაგრძელებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ერთად-ერთი სახსარი ომის განახლებაა.

სტამბოლი. დღისით გალიპოლთან ბრძოლა დაიწყო. დაწვრილებითი ცნობები ტელეგრაფის გაფუჭების გამო არ არის. მაჰმუდ-შევკეთ-ფაშა ღამით ხადემკიოში წავიდა მთავარ ბანაკში. ჩათალჯაში ჯერჯერობით მშვიდობიანობაა.

დურაცო. სერბიის მთავრობამ მარილზე, ნავთზე და ასანთზე 11% გაადიდა გადასახადი. ამან მუსულმანებში საშინელი უკმაყოფილება გამოიწვია.

გაზეთებიდან

ომის განახლება.

ბულგარეთის ჯარის მთავარსარდალმა სავოვმა განკარგულება მოახდინა, ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალს აცნობოს, რომ დროებითი ზავი შეწყვეტილია. სამხედრო მოქმედება გუშინ, 21 იანვარს უნდა განახლებულიყო.

სად მოხდება ახალი ზავი?

ბალკანეთის კავშირის რწმუნებულებმა წარსულ შაბათს დასტოვეს ლონდონი, რადგან საშვიდობო მოლაპარაკება აწ ომის ველზე გაიმართება. წასვლისას ბულგარეთის რწმუნებულმა დანევმა სთქვა:

— საშვიდობო ხელშეკრულობა დაფ-დაფზე იქნება ხელმოწერილიო.

სკუტარის ალყა.

ჩერნოგორიის ჯარის მთავარსარდალმა 18 იანვარს აცნობა სკუტარის მეციხოვნე ჯარს, რომ დროებითი ზავი შეწყვეტილია. საქმე ისაა, რომ ჩერნოგორიისათვის ამით სრულიადაც არ იცვლება გარემოება, რადგან ჰასან-რიზა-ფაშა იმთავითვე ანგარიშს არ უწევდა დროებით ზავს და განუწყვეტლივ იერიში მიჰქონდა ჩერნოგორელების პოზიციებზე. დროებითი ზავის დროს ჩერნოგორელებს არ შეეძლოთ აქტიური წინააღმდეგობა გაეწიათ ოსმალეთის ჯარისთვის და მხოლოდ სამზადისს ეწეოდნენ ალყაშემორტყმულ სკუტარის გარშემო იმ შემთხვევისთვის, თუ ომი განახლდებოდა. უკანასკნელ დღეებში იპეკიდან და დიაკოვოდან საალყო ჯარის გასაძლიერებლად მივიდა 6 ბატალიონი ვებოვიჩის უფროსობით. სერბიიდან ანტივარის ნავთ-სადგურით მიიტანეს 12 სწრაფ-მსროლელი ზარბაზანი. რუსეთიდან საჩქაროდ გატანილი ხორბალი და სხვა სურსათი იმის მამცნებელია, რომ ჩერნოგორია მხნედ ემზადება სამხედრო მოქმედების განსაახლებლად, რათა ერთის დაკვრით ბოლო მოუღოს სკუტარის დამცველს, მამაც ჯარს.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

ვენა. გარეშე საქმეთა მინისტრმა ვენიზელოსი სადარბაზოდ მიიღო.

ლონდონი. პრესა იმედოვნებს, ომი მალე გათავდება და ახლო მომავალში ზავი ჩამოვარდებაო.

კრაკოვი. კრაკოვის კონსერვატორთა პარტიის კრებაზე გრ. ტარნოვსკიმ განაცხადა: თუ ომი გართულდა მთელი პოლონელი ხალხი ავსტრია-უნგრეთის ჯარის მფარველობის ქვეშ უნდა გამოცხადდესო. პოლონეთის დამოუკიდებელი აჯანყება დიდი შეცდომა იქნება, გალიციელ პოლონელთა ეროვნული საკითხების მთავარი და უმაღლესი ინსტანცია უნდა იყოს სეიმის პოლონელთა კოლო და არა დროებითი კომისია, საცა უკიდურეს ელემენტებს მოუყრია თავი. პარტიამ ეს დადგენილება მიიღო.

გაზეთებიდან.

დანევის განცხადება.

„რეიტერის სააგენტოს“ ცნობით, ედუარდ გრეიმ ოსმალთა წარმომადგენლებს გადასცა დანევის განცხადება, რომ მოლაპარაკება მხოლოდ ადრიანოპოლის დათმობის შემდეგ განახლდებაო.

რუსეთის აზრი.

რუსეთის დიპლომატიურ წრეებს არა სურთ ომის განახლება, რადგან თუ ომითა და გაჭიანურებული საშვიდობო მოლაპარაკებით მოღლილნი მოკავშირენი დამარცხდნენ, რუსეთი გულგრილად ვერ აიტანს ასეთ გარემოებასო.

გერმანიის ცდა.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ გერმანია ყოველ საშუალებას ხმარობს, დაიყოლიოს დიდი სახელმწიფოები, რათა მათ გავლენა იქონიონ და ძალაც დაატანონ მოკავშირეებს, სანამ ომი განახლდებოდეს, და მიაღებინონ ოსმალეთის პირობები. გაზ. „მორგენპოსტი“ ირწმუნება, რომ გერმანიის ასეთმა ცდამ სასურველი ნაყოფი გამოიღოო.

ათონის საკითხი.

ლონდონის ელჩთა კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე გაირჩა საკითხი: შეუძლიან თუ არა ათონის რესპუბლიკას სამხედრო ფლოტი იქონიოს. კონფერენციამ უარყოფით გადასჭრა ეს საკითხი. სხვათა შორის, ავსტრიამ სურვილი გამოსთქვა, რათა იგიც მიიღონ ათონის მფარველ სახელმწიფოთა რიცხვში.

გერმანიის როლი

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება: დიდად სარწმუნო წყაროდან შევიტყე, რომ ოსმალეთის საპასუხო ნოტის ტექსტი გერმანიის ელჩის, ვაგენგეიმის შემუშავებულია, რომელიც კულისებიდან უწევს ხელმძღვანელობას ახალ სამინისტროს. დანამდვილებით ამბობენ. თითქოს ვანგენგეიმს აღუთქვამს ოსმალეთის მთავრობას. რომ მოვახერხებ ნოტაში აღნიშნულ პირობებით მშვიდობიანობის დამყარებასო.

რუმინიის მუქარა.

რუმინიის სამხედრო მინისტრმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომელნიც საერთაშორისო მდგომარეობაზე საბაასოდ იყვნენ მასთან:

— რუმინიას გულწრფელადა ჰსურს მშვიდობიანობის დაცვა, მაგრამ თუ ბულგარეთი უარსჰყოფს ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას ომს გამოვუცხადებთო.

რუმინიის სამხედრო უწყებამ გამოუცხადა 1914 წლის სათადარიგო ჯარისკაცებს, მზად იყავით მობილიზაციისთვისო. რუმინია აუცილებელ საჭიროებად სთვლის სადაო ადგილების დაჭერას.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

22 იანვარი.

საზღვარ-გარედ

ვენა. გარდაიცვალა კარდინალი არქიეპისკოპოსი თ-დი ნაგლი.

მექსიკო. ზაპატისტებმა სამგზავრო მატარებელთა შეჯახება მოახდინეს. სროლის დროს დაიჭრა ჯარის-კაცი, მოკლულია 12. ზაპატისტებმა მოჰკლეს 4 მგზავრი და ბევრი ქალი გაიტაცეს.

პარიზი. გარდაიცვალა ფლიერის ადიუტანტი გიზი.

თავრიზი. საპეხდარი რუსეთის ჯულფაში მივიდა. იქიდან ტფილისში წავა.

მუკდენი. დუდუმ პეკინიდან მიიღო საბოლოოდ შემუშავებული მონღოლეთის საწინააღმდეგო გეგმა. მოქმედება მარტში დაიწყება.

რუსეთი.

პეტერბურგი. მოვიდა პრინცი გოგენლოე, რათა საკუთარის ხელით გადასცეს ხელმწიფეს იმპერატორ ფრანც-იოსების წერილი.

პეტერბურგი. უმაღლესად დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს დადგენილება, უყურადღებოდ დასტოვონ ფინლადიის უქვეშევრდომილესი პეტიცია, სხვა და სხვა საკითხის შესახებ.

ჰელსინგფორსი. სასახლეში დიდის ზეიმით განახლდა ფინლიანდიის სეიმის მორიგი სხდომა. სეიმს გენერალ-გუბერნატორი ხელმწიფის სახელით მიესალმა. გუბერნატორს უპასუხა სეიმის თავმჯდომარე ტოკიომ.

პეტერბურგი. ხალხის თავისუფლების ფრაქციის სხდომის დროს გულის სიდამბლით გარდაიცვალა რიაზანის გუბ. დეპუტატი სათათბიროს წევრი როსტოვი.

რუსეთი

ცნობათა მიმცემ ბიუროს გაუქმება.

ცნობათა მიმცემი ბიურო უნდა გაუქმდეს. შინაგან საქმეთა მინისტრმა მაკლაკოვმა განაცხადა, რომ ეს ბიურო არავისთვის საჭირო არ არის და სრულიად ზედმეტია მაზე ფულის ხარჯვაო. ბიუროს გამგე წლიწადში იღებს 12 ათას მანეთს, მაშინ როდესაც ბეჭვდითი სიტყვის სამართველოს უფროსი იღებს მხოლოდ 10.000 მანეთს. ბიუროს გაუქმება შედეგია მაკლაკოვის და კოკოვცევის თათბირისა. მაკაროვის დროსვე რამდენჯერმე აღიძრა საკითხი ბიუროს გაუქმების თაობაზე; მისი უვარგისობა და უმაქნისობა დიდი ხანია შენიშნულია. მაკლაკოვის აზრით, მთავრობის ცნობათა მისაწვდენად სრულიად საკმარისია ბეჭვდითი სიტყვის სამართველო, დღ-

---

ადიდეგ არასოდეს არ უნდა გაიყიდოს. ბანკს უნდა მიენიჭოს შემთხვევაში უფლება ამ მამულის შემოსავლით სარგებლობა იმ დრომდე, სანამ ვალი არ გაიწმინდება. მაგრამ როდესაც შეუდგნენ საქმის ზედ-მიწევნით განხილვას აღმოჩნდა, რომ „თავად-აზნაურებმა ეჭვი გამოსთქვა ამ სურვილის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ, რადგან მოსალოდნელი იყო სხვა საფრთხის გამოწვევა—ძირადი თანხის მოსპობა. ასე რომ დიდ მსხვერპლს შორი-ახლო მომავალში თავისი მნიშვნელობა ეკარგებოდა“. როგორც ვიცით, მეორე წესდებაში იმაზე დადგნენ, რომ დაგირავებული მამული არ გაყიდულიყო **მხოლოდ 6 თვის განმავლობაში.** ხოლო ბანკის მესამე წესდებაში ეს მუხლი არ შესულა, არც ახლანდელ წესდებაშია ამგვარი მუხლი, ხოლო პრაქტიკულად მამული მაინც არ იყიდება ექვსი თვის განმავლობაში. მაგრამ დიმიტრის არც ის აკმაყოფილებდა, [illegible] ის წესდებაში იყო შეტანილი, [illegible]ით უმეტესად ახალი წესდების [illegible]რი. 1884 წელს თავის მოხსენებაში, რომელიც წარუდგინა გორის თავად-აზნაურობის კრებას, ამბობს: „ბანკის დამფუძნებლებმა უნდა იფიქრონ თავის უანგარიშო მოვალ[illegible] შვილებზე და დააწესონ თუმცა არა [illegible], მაგრამ სრულიად შესაძლებელი საქმე—მამულების გაუსყიდველობა. [illegible] შეუძლებელ მოვალეს [illegible]ლის მოსავლელად ბანკმა ერთის, ორის ან სამის წლით, ან კიდევ იმ დრომდე, სანამ ვალი სავსებით არ იქნება გადახდილი. და როდესაც ეს მოხდება, დაუბრუნდეს მსესხებელს ან მის მემკვიდრეებს ვალებიდამ განთავისუფლებული მამული“. სურვილი მამულების გაუსყიდველობისა ისეთი დიდი ჰქონდა დიმიტრი ყიფიანს, ბანკის საშუალებით თავადაზნაურობის შველის და განკურნების იმედი ისეთი ძლიერი ჰქონდა, რომ იგი ვერ ხედავდა ობიექტიურ ეკონომიურ პირობებს, ეკონომიურ ცხოვრების ულმობელ კანონს, რომელიც შეუძლებელად ჰყოფს ყოველგვარ ქველობას, ფილანტროპიას სოციალურ ცხოვრების ფარგალში. რომანტიკოსი პოლიტიკურის რწმენით, იგი რომანტიკოსად აღმოჩნდა ეკონომიურ ნიადაგზედაც. მას სჯეროდა, რომ საქმის გაძღოლა შესაძლებელი იყო ისე, რომ რაც შეიძლება მეტი შეღავათი და სარგებლობა ჰქონოდა იმ წოდებას, რომელიც ეკონომიურად უმოქმედო და თითქმის უკვე მკვდარი იყო. ამ რწმენით აიხსნება ის გულმხურვალე პოლემიკა, რომელიც ჰქონდა დიმ. ყიფიანს ილია ჭავჭავაძესთან ბანკის საქმის თაობაზედ.

დიმიტრი ყიფიანი 1886 წ. „ივერიაში“ დაბეჭდილ ვრცელ წერილებში ამგვარად აყენებდა სადაო საკითხს: „ჩემი აზრის დასკვნა არავისთვის არ არის დასამალავი: 1) სესხის სარგებელი ჩვენ, ფულის პატრონებს, მოგვეთხოვებოდეს იმ ზომით, რა ზომითაც სახელმწიფო ბანკი [illegible]თხოვს აზნაურობას სახაზინო ფულზედ. 2) ჩვენ, ფულის პატრონებს, ზოგიერთს შემთხვევაში ისეთი შეღავათი გვეძლეოდეს, როგორსაც ის ბანკი აძლევს თავის მოვალეებს, ფულის არა-პატრონებს და 3) ჩვენი ვადა—გადაცილებული მამულები ჯერ თქვენ გამგებლობაში მიიღეთ... და თუ ვალის გაწმენდა უიმედოდ აღმოჩნდა—ამას ხომ დროით დაინახავთ, მაშინ აიღეთ და გაყიდეთ. ამ სამს მუხლზედ არის ჩვენი გაცხარებული კამათობა; და როგორც უნდა იყოს გაცხარებული, მე ამ სამი მუხლიდან ვერა გამომიყვანს“. ილია ჭავჭავაძე სამსავე მუხლს დაწვრილებით არჩევს და სამსავეს უარჰყოფს. პირველის შესახებ იგი ამბობს: „ჯერ სახელმწიფო ბანკის შეძლება, ღონე, ნდობა და სახელი მოანიჭეთ ჩვენს ბანკებსა და მერე იმოდენობა მოსთხოვეთ... ჯერ ბ. ყიფიანმა მოგვიხერხოს, რომ ჩვენის გირავნობის ფურცლებს ქვეშ სახელმწიფო კრედიტის შეერთებული ბოძი ჰქონდეს შედგმული და მაშინ მოსთხოვოს კერძო ბანკს საერთოდ და ჩვენს ბანკს საკუთრივ სახელმწიფო ბანკის უნარი“. მეორე საკითხის შესახებ ილიას შეუძლებლად მიაჩნია სახელმწიფო ბანკისთვის მიბაძვა. სახელმწიფო ბანკს შეუძლია სთქვას: „მე შემიძლიან ისე სასტიკად არ მოვექცე ვალის ამღებსა, როგორც კერძო ბანკიო, იმიტომ რომ მე სახელმწიფო ბანკი მქვიანო და სახელმწიფოსათვის შესაძლებელიაო მეტი შეღავათი მისცეს ვალის ამღებსა...“ „ბ-ნი ყიფიანი ითხოვს 1) ორის თვის მაგიერ პირველ შემოტანის ვადიდან ექვსი თვე დაგვაცალოს ჩვენმა ბანკმაო და 1% ჯარიმის მაგიერ ½% გვახდევინოს პირველს ორ თვესაო და დანარჩენში კი 1%-იო. 2) თუ რომ განსაკუთრებული უბედურება გვეწვევა, ან ერთის წლით დაგვაცალოს ერთის უბედურის წლის შემოსატანიო, ან სამის წლითაო, რომ ნაწილ-ნაწილ შემოვიტანოთო და ამისათვის 6% გვახდევინოსო. პირველზედ იმას ვიტყვი, რომ თუმცა ჩვენს ბანკს ორი თვე აქვს დადებული წესად... მაგრამ საქმე ისე მოდის, რომ მამული ექვს თვეზედ ადრე არ ჩავარდება ხოლმე გასაყიდად. და რადგან გასყიდვის დღემდე ყველას ნება აქვს შემოსატანი შემოიტანოს და დაიხსნას მამული გასყიდვისაგან—გამოდის, რომ ისევ ის ექვსი თვის დაცლაა და ისევ ის ექვსი თვის შეღავათია. ბევრი-ბევრი ამ შემთხვევაში სახელმწიფო ბანკისა და სათავადაზნაურო ბანკის ვადებ შუა მამულების გასყიდვის შესახებ ორმა თვემ ითამაშოს. ეს სათქმელიც არ არის. ორ თვეში ½% ჯარიმაც ბევრს შეღავათს არ წარმოადგენს“... გარდა ამისა „ტფილისის ბანკის წესდების 89 მუხლში სწერია, რომ ბანკმა ყოველ წლივ მოგებიდან უნდა გადასდოს 5% და აქედან შეადგინოს ფული შესაწევრად თავად-აზნაურთა, რომელთაც ან ცეცხლი, ან მოუსავლობით და სხვა ამის მსგავს უბედურებით ზიანი რამ მოუვათო“. რაც შეეხება მამულის გაუსყიდველობის საკითხს, ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამის შეუძლებლობა დასაწყისშივე გამოირკვა. მაგრამ აქ აბსოლუტურ გამოუსყიდველობაზე აღარ არის ლაპარაკი. აქ მხოლოდ ის მოთხოვნაა, რომ ექვს თვეზედ გამოჩნდება, მამული ვალს გადიხდის თუ არა, და თუ გადიხდის, გაიყიდოსო. ილია უპასუხებს: „ბანკმა რომ არ მიიღოს მამული თავის გამგებლობაში საცდელად, განა გამოუცდელად კი არ უნდა იცოდეს, რომ 1 იანვრიდან 1 მკათათვემდე სოფლის მამულს არავითარი შემოსავალი არ ექნება... მიიღებს ბანკი მამულს თავის გამგებლობაში, თუ არ მიიღებს, მამული ვალს ვერ გასწმენდს და მაინც და მაინც გაიყიდება ექვს თვეს უკან. დღესაც ასე არ არის ხოლმე?.. მამულის გაუსყიდველობა, დასძენს ილია, სანატრელია, მაგრამ ზღაპარია! თუ ზღაპარი არ არის, რატომ ერთი გარკვეული, დაბეჯითებით, ყოველმხრივ გახმარტებული პროექტი არ წარმოადგინეს ამის მომგონებელთა“.

ეხლა ჩვენთვის სრულიად გაშუქებულია ის საკითხი, თუ როგორის თვალით უყურებდა დიმიტრი ყიფიანი ბანკის დაარსების საჭიროებას და რა იმედებს ამყარებდა მასზედ. რაკი ბატონ-ყმობის გადავარდება დიდი მსხვერპლი იყო დიმიტრის თვალში თავად-აზნაურობისათვის, ბანკი მაინც უნდა მიშველებოდა და გადაერჩინა დაღუპვისაგან. ხოლო ბანკმა ეს არ აასრულა და დიმიტრი ყიფიანმაც მაც ზურგი შეაქცია მას. და უნდა ვსთქვათ, რომ დიმიტრი ყიფიანი მარტო არ იყო უკმაყოფილოთა ბანაკში. ბანკისგან ამგვარსავე სასწაულს მოელოდნენ მხოლოდ სხვა და სხვა, მოსაზრებით, ნ. ნიკოლაძე, აკაკი და ბევრი სხვა. და ყველა ესენი ილიას წინააღმდეგ იყვნენ გალაშქრებულნი სხვა და სხვა დროს (აკაკი კი იმ დროს, როდესაც დიმიტრის წერილები იბეჭდებოდა „ივერიაში“ 1886 წელს). წესდებას და მმართველობას აბრალებდნენ, არ ვარგიხართო ამიტომ მიდის ცუდად ბანკის საქმეო. ნამდვილად კი წესდება და გამგებლობა აქ არაფერ შუაში იყო და მართალი რომ ვსთქვათ, არც ბანკის საქმე მიდიოდა ურიგოდ, ხოლო თავად-აზნაურობას, როგორც წოდებრივ ერთეულს, რომ ვერ გადაარჩენდა ბანკი, ეს უტყუარი ჭეშმარიტება იყო. ილია ამას კარგად ხედავდა და არ ნაღვლობდა ამის გამო, რადგან ბანკს ქვეყნისთვის დიდად სასარგებლო დაწესებულებად სთვლიდა. დიმიტრი კი, რომლისთვისაც ნათელი არ იყო ეს სარგებლობა ბანკს რომ მოჰქონდა ქვეყნისთვის, დიდად სწუხდა და მღელვარებდა. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელიც არ ეთანხმებოდა დიმიტრი ყიფიანს და იმ აზრისა იყო, რომ ბანკს არ შეეძლო გადაერჩინა თავად-აზნაურობა, როგორც წოდებრივ ერთეულისა, ამავე დროს დიდი მომხრე იყო ბანკის არსებობისა საზოგადოდ და დიმ. ყიფიანის ღვაწლსაც ბანკის დაარსების გამო დიდად აფასებდა. „პირველ მას მოუვიდა ფიქრად, ამბობს ილია დიმიტრის შესახებ, ბანკი დაეარსებინა და დიდი ღვაწლი, დიდი მხნეობა, დიდი მეცადინეობა იხმარა ამ სასახელო ფიქრისა და აზრის განხორციელებისათვის. მან დაიყოლია ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობა, რომ ფული შეეწირათ ბანკის დასაარსებლად. მან მარტომ იდვა ეს კისრად და მარტომ შეასრულა თვისის სახელის სასიქადულოდ. იგი მაშინ იყო გუბერნიის მარშლად და უნდა ვაღვიაროთ, რომ, ჩვენის ფიქრით, არც ერთს მარშალს არც მანამდე, არც მერმედ ასეთი დიდი ღვაწლი, ასეთი დიდი სამსახური არ გაუწევია ჩვენის ქვეყნისთვის რაც უნდა სთქვან იმათ, ვინც ბანკის დაარსებაში ბოროტებას ჰხედვენ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ბანკი დიდი საქმეა ჩვენი ქვეყნისათვის და ამ დიდის საქმის დამწყობი, მეთაური და შესაძლოთ მქნელი ბ-ნი დიმიტრი ყიფიანია. სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელი იქნება მის სახელთანო“.

არჩილ ჯორჯაძე.

(შემდეგი იქნება)

პეშათა პეტერბ. სააგენტო და „პრავიტელსტვენი ვესტნიკი“.

მუშათა შორის.

18 იანვარს დასრულდა მუშათა გაფიცვა პუტილოვის ქარხანაში. დილით სახელოსნოები გაიღო და გაფიცულთა უმრავლესობა სამუშაოდ გამართა. გაფიცვის ხელმძღვანელებს პოლიცია გაფაციცებით დაეძებს. გაჩხრიკეს ორი მუშა სმირნოვი და გრიშკოვი, მაგრამ ვერაფერი უპოვნეს. სამი დღის განმავლობაში დაატუსაღეს 80 მუშა.

19 იანვარს სამ საათზე თოფხანის კანცელარიაში მივიდა ჟანდარმთა ოფიცერი და დამცველ პოლიციის სამი აგენტი. ჟანდარმის ოფიცერმა ქარხნის უფროსის თანაშემწეს განუცხადა: ქარხანაში მუშაობენ მუშები, რომელნიც სამინისტროს დადგენილებით პეტერბურგიდან გადასახლებულნი იყვნენ და თავის ნებით დაბრუნებულან პეტერბურგში. ოფიცერმა გვარები დაასახელა მუშებისა —კალინინი, დობრატოვი და ბედნიაკოვი. პირველი ორი მუშა მართლაც ქარხანაში აღმოჩნდა და პოლიციამ მაშინვე შეიპყრო, მესამე კი ქარხანაში არ აღმოჩნდა. მუშებმა, გაიგეს თუ არა ამხანაგთა შეპყრობა, შეეკითხნენ ქარხნის ადმინისტრაციას: რა ზომების მიღებას იგი აპირებს რომ ქარხანაში პოლიციის მიერ მუშათა შეპყრობა არ განმეორდეს.

გენ. კურლოვის დანიშვნა.

პეტერბურგში ხმა გავრცელდა, რომ გენ. კურლოვი ინიშნება ამურის მხრის გუბერნატორად, ნაცვლად გონდატისა, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად გადმოჰყავთ. ზოგიერთის სიტყვით, გენ. კურლოვი სენატორად ინიშნება.

პრ.-დოცენტი ტარნოვსკი.

სახალხო განათლების მინისტრმა კასომ არ დაამტკიცა პრ.-დოც. ტარნოვსკი, რომელიც პეტერბურგის საიურისტო ფაკულტეტმა აირჩია რუსეთის სამართლის ისტორიის კათედრაზე. მის ნაცვლად მინისტრმა დანიშნა გრიგორიევი.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება.

სენატმა განიხილა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება; აქვთ თუ არა ებრაელებს ნება დაირქვან ქრისტიანული სახელები! როგორც მინისტრის მოხსენებიდან სჩანს, საკითხი უწმინდეს სინოდს აღუძრავს. რავინის კომისიამ, რომელსაც მინისტრმა მიანდო საკითხის გამორკვევა, დაადგინა, რომ ებრაელთ ნება აქვთ რა სახელიც უნდა დაირქვან; სინოდის აზრით კი ქრისტიანულ სახელების ტარება ჰნიშნავს ქრისტეს მცნების აღიარებას, და იმათ მხრივ, ვინც ქრისტიანნი არ არიან ქრისტიანულ სახელის ტარება ღვთის გმობას და ქრისტეს მოძღვრების აბუჩად აგდებას ჰნიშნავსო.

სენატორთა კამათით გამოირკვა, რომ საკითხი სათანადო წესით არ არის აღძრული. სენატორები ამბობდნენ: კანონი არავის არ უშლის ამა და ამ სახელის ტარებას. ამას არც ებრაელებს უკრძალავს კანონი. კანონი, როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული, ებრაელებსაც და სხვებსაც უკრძალავს იმ სახელების ტარებას, რომელიც მეტრიკაში არ არის მოხსენებული. მხოლოდ რავინის კომისიას შეუძლიან აუკრძალოს ებრაელებს ესა თუ ის სახელი ატაროს; რასაკვირველია, ამისთვისაც საჭიროა შინაგან საქმეთა სამინისტროს დასტური. ამას გარდა ჯერ არც ის არის გამორკვეული, რომელია ქრისტიანული სახელი და რომელი ებრაელური. ეს საკითხი მით უფრო ძნელი გადასაწყვეტია, რომ პირველი ქრისტიანენი ებრაელები იყვნენ. თუ სენატი საკითხის არსებით განხილვაში შევა, მაშინ ისიც უნდა გამოარკვიოს, თუ რა სახელების ტარება შეუძლიანთ ებრაელებს. სენატმა მიიღო მხედველობაში, რომ ამ მხრივ კანონი ებრაელთა უფლებას არა ჰზღუდავს, და სინოდს კი საჭიროდ მიაჩნია ამ უფლების შეზღუდვა, რაც საკანონმდებლო წესით უნდა იყოს დაწესებული, ამისთვის სენატი მინისტრის მოხსენებას უყურადღებოდ სტოვებს.

ხვოსტოვის საქმე.

სენატის პირველმა დეპარტამენტმა 16 იანვარს განიხილა ნადეპუტატარ ხვოშჩინსკის საჩივარი დეპუტატ ხვოსტოვზე, რომელსაც ნიჟეგოროდის გუბერნატორობის დროს ჰბრალდება არჩევნებში თვითნებობა და ძალდატანება. ეს საქმე მით არის საინტერესო, რომ ნათელ ჰყოფს იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელშიაც უხდებოდა მოქალაქეს თვის საარჩევნო უფლების განხორციელება. ადამიანის თვალ წინ იშლება სურათი ადმინისტრაციის თავაშვებულებისა და ფარფაშობისა. ხვოშჩინსკის მოჰყავს აუარებელი მაგალითები ხვოსტოვის უკანონო მოქმედებისა. რათა მოეშორებინა ისეთი კანდიდატები, რომელნიც ხმას მისცემდნენ მის არა სასურველ პირს, ხვოსტოვმა აამუშავა ადმინისტრატიული მანქანა სწორედ არჩევნების დღეს, ხვოსტოვი ისპრავნიკთან იბარებდა ზემოდ დასახელებულ პირთ უუსაჭიროეს საქმისთვის, თუმცა ამისთანა უუსაჭიროესი საქმე არა ყოფილარა. და ამ რიგად ხელს უშლიდა კანდიდატებს მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. ზოგიერთ ამომრჩევლებს უეცრივ ატუსაღებდნენ საგანგებო დადგენილებით. ზოგიერთებს გულახდილად ურჩევდნენ იმ შემთხვევაში გაგანთავისუფლებთ, თუ ხვოსტოვის სასურველ კანდიდატს მისცემთ ხმასო. ზოგიერთ ამომრჩეველს პირდაპირ აპატიმრებდნენ, თუმცა დანაშაულობის საბუთი ხელთ არა ჰქონდათ რა. ხვოშჩინსკის ამისი საბუთები მოჰყავს.

სენატორებმა აღნიშნეს, რომ საბუთების შემოწმების არსებით განხილვაში ვერ შევალთ. საბუთებს სიმართლის დამტკიცება სჭირია. თუ დამტკიცდა ყველა ბრალდება, მაშინაც სენატი საჩივარს უყურადღებოდ დასტოვებს, რადგანაც ამგვარი საქმე სამოსამართლო წესით უნდა აღიძრას.

სენატმა დაადგინა, დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხვოსტოვს და გუბერნიის ადმინისტრაციის მოხელეთ მოსთხოვოს განმარტებანი და საბუთების შემოწმების შემდეგ გადასცეს სენატს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. მოვაგონებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ დღეს, 24 იანვარს ბ-ნ ვ. ა. აბაშიძის ბენეფისია. დასდგავენ ბ-ნ ალ. სუმბათაშვილის ხუთ მოქმედებიან კომედიას „შევარდნები და ყორნები“, ბ-ნ ვ. ს. ალექ. მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით.

სახალხო სახლი. დღეს, შაბათს, 26 იანვარს ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ. კ. ყიფიანის მონაწილეობით და ალ. წუწუნავას რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი დრამა სოფლის ცხოვრებიდან ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ მონაწილეობას მიიღებს როგორც მთელი სც. მოყვ. დასი აგრედვე თანამშრომელთა გაძლიერებული ჯგუფი.

ადგილების ფასი 5 კ.—50 კ. მზადდება „ღალატი“.

ხაშური. 20 იანვარს ადგილობრივ პროგიმნაზიის სასარგებლოდ წარმოადგინეს ცაგარლის „ხანუმა“ და რუსულად ერთ მოქმედებიანი ხუმრობა „უბის-წიგნში“. მშვენივრად ითამაშეს ქალების როლები: რჩეულოვისამ (ხანუმა) გამრეკელოვისამ, ბარათოვისამ.

მშვენივრად ითამაშა გამრეკელოვმა იაკოფას როლი, მხოლოდ ხმა ხელს უშლიდა.

კარგად შეასრულეს, მურმანიშვილმა და კორძაიამ, პირველმა გლეხის ხოლო მეორემ კოტეს—როლი. კარგი მიხვრა-მოხვრა, მკაფიო ლაპარაკი სასიამოვნო იყო.

კარგები იყვნენ აგრეთვე ჯაფარიძე და კვალიაშვილი. პირველს მშვენივრად შეესწავლა როლი: მკაფიო ლაპარაკით ნაკლულევანება დაჰფარა.

რუსულში მშვენივრად ითამაშეს ქ-ნ ფოკინიამ, გრინბაუმმა, ბ-ნ კორიაგინოვმა და მანკომ. კარგს იზამენ როგორც კლუბის ადმინისტრაცია ისე სცენის მოყვარენი, როგორც ქართველები ისე რუსები, რომ ხშირათ დასდგავდენ იაფ-ფასიან წარმოდგენებს.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში, რამაც ორ საათამდის გასტანა. ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნები დაბრუნდა.

ლადო ცინცაბაძე.

წერ. რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

შეძლება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით გულრწფელი მადლობა უძღვნა გომარეთის სკოლის მასწავლებელს ბ-ნ კოტე სეხნიაშვილს, რომელმაც შრომა მიიღო, ჩამოვიდა გომარეთიდან და 14 იანვარს, ნინოობას უჩვენა ბუნდოვანი სურათები ჩემდამი რწმუნებული სასწავლებლის მოწაფეებს და მათ მშობლებს, ეს უკანასკნელნი ამ დღისათვის მოწვეულნი მყავდა, რათა გამეცნო მათთვის წმ. ნინოს პიროვნება, ბიოგრაფია და მოღვაწეობა.

ყალამშის ქართული სკოლის მასწავლებელი **გრიგოლ მაჭავარიანი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა
(ზამთრობით).
15 ოქტომბრიდან.
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: საბ. №№ 167, დილ. 4 ს. 38 წ. **საბ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **საბ.** № 4, საღ. 9 ს. 4 წ. **საბ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: საბ.-საბ. № 8/7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4/3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: საბ.-საბ. № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: საბ. № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **საბ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **საბ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: საბ № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **საბ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: საბ.-საბ. № 83/7, ღამ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: საბ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: საბ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9/10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში: საბ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **საბ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **საბ.-საბ** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **საბ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **საბ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **საბ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: საბ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **საბ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **საბ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **საბ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **საბ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **საბ.-საბ.** № 70, საღ. ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: საბ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **საბ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **საბ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **საბ.** № 83, ნაშ. 5 ს. 54 წ. **საბ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: საბ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **საბ** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **საბ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **საბ** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: საბ № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: საბ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **საბ.** № 4 II, დილ. 11 ს. 9 წ. **საბ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **საბ.** № 8 II, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; საბ. № 3 II შუადღ. 1 ს. 5 წ. **საბ.** № 7 II, საღ. 7 ს. 24 წ. **საბ.** № 5 II, საღ. 7 ს. 59 წ. **საბ.** № 25 Г ნაშ. ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: საბ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **საბ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: საბ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **საბ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: საბ № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. საბ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **საბ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საბ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: საბ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. საბ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **საბ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **საბ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: საბ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **საბ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **საბ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნაკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და I— მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

გემების მიმოსვლა
(ზამთრობით)
15 ოქტომბრიდან,
შავ-ზღვაზე.
(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).
„ვაჭრობა-ნავოსნობის“
საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღმის 1 ს. 58 წ.
№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სა.**, **შაბათ.**, შუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8. 58 წ.
№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს 40 წ.

კასპიის ზღვაზე.
„კავკაზი და მერკური“
საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 1 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, **ხუთშ.** ნაშუდღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის:

კრასნოვოდსკიდან ყველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდან ორშ. და პა., დილ. 60 ს. 5 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

[illegible] ექიმები
სასანიტარო [illegible]

უბნები: 1, 2—9 **მ. ფარმან-ხაჭაპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარზე **ქრ. ლ. ქამბანთაროვი** (სოლოლაკი ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ ნ. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო ისპექტორების შემოღებაში და სადაც კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს ჰკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდდასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდსცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორაში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ვლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანი ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფთ ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედძალინი** (სდას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
5—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 725).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 15).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

განცხადებანი

ემმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

ი. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ავახართავი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელ.ისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისა, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი 1—2 ს. საბებიო და ქალების ავდმ.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-რეშევისა 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი ნ. ა. ნ ნავასარდიანი.

დ. ზესტაფონში
ექიმი კბილისა ბაბილინა ცხადაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—3 ს. საღამოთი 5—7 ს. ასათიანის სახლში, საყდართან. 19

ვასწავლი
ქართულ
„სიმღერა-გალობას“
ჩაწერა და მიღება ყოველ დღე, ავჭალის მოედანი № 11, მიხეილ კავსაძესთან. 886

ახლად გაიხსნა
სამშობიარო
თავშესაფარი
ე. ლ. არშაკუნისა და ს. ს. ხატიევის
ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა. საბებიო საქმესა და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღებას და აგრედვე ძიძათა შემოწმებას ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—12 საათამდე თავშესაფარის გამგე ექიმი ა. გ. ავეტისოვი.
ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3. 1018

—◆ გამოსულია და იყიდება ◆—
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„მამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.
19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 370. დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ:

	ექიმების მიერ:	დილით:
[illegible]	სპეკტიორი ვ. მ. . .	8½—9½ ს.
	გაზაზოვი ა. ა. . .	10—11 ს.
	იაშვილი ა. ლ. . .	11—12 ს.
	აბაკელია ი. ქ. . .	12—1 ს.
	ლოლობერიძე გ. მ. . .	12½—1½ ს.
[illegible]	გრიგორიანი ა. ი. . .	11—12 ს.
	მელკონიანი გ. ა. . .	12—1 ს.
	ჯაში ი. ი. . .	9½—10½ ს.
[illegible]	გრიგორიანი ა. ი. . .	11—12 ს.
[illegible]	ექიმი-ქალი საყვარელიძე ე. ზ.	11—12 ს.
	ლოლობერიძე . .	12½—1½ ს.
[illegible]	შტრეიხერი მ. ა. . .	12 12½ ს.
[illegible]	შაპელნიკოვი ზ. ი. . .	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

ვ. ლისიციანისა და ამხ. გამსესხებელი განყოფილება
გადავიდა
საკუთარ სახლში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 8, მუზეუმის მისახვევი კუთხეში, (ტელეფ. № 770). განყოფილების კლიენტებს ამით ეუწყებათ რომ ოპერაციების გაფართოვების გამო 18 იანვრიდან სამუშაო საათებს მოვუმატეთ ე, ი. სესხის გაცემა და დაგირავებულ ნივთების დახსნა იწარმოებს დილის 9½ 1½ საათამდე; სხვა ოპერაციები კი ნაშუადღევის საათამდე. 542

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარი ი, ტარალანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მოხარშული დოში, ზურგიელი, და ყოველგვარი
◆ შავი ხიზილალა ◆

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
ნ. ვ. აბრამიანის
საბუღალტრო კურსები
(არსებობს 1895 წ.)
ავტორი „ბუღალტერიის ხახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.
ორივე სქესისათვის კურსი 4 თვისაა ყოველ-დღიური მეცადინეობით.
სწავლა იწყება 15 იანვრიდან, 1913 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერა, ხელის გასწორება, მსურველთათვის უცხო ენები, სტენოგრაფია და რემინგტონი. მასწავლებელნი—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. ატესტატები სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ-დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.
ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.
წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. ტელეფ. № 744. (თ. 1644. 9)